ლელო

№ 60
(11 312)

6 – 9 აგვისტო, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გოლს გავიგანო, დაიქადნა ბლანკო, მართლაც გაიგანა და კუთხურის ალამთან ცეკვა დაიწყო...

მექსიკა 4
ბრაზილია 3

VII თვის მონაგარი

ქვეყნის ცხოვრება თავისი ნეგატიურობით და უმთავრესი სენით — სიღუხჭირით, ცხადია, ყველა სფეროში უარყოფითად აირეკნება, მაგრამ სპორტში იგი განსაკუთრებით მომაკვდინებელია. არადა, მხოლოდ ამ სფეროში შეგვიძლია თავი გავუტოლოთ სხვა ქვეყნებს, ვიდგეთ უმაღლესი სტანდარტების დონეზე. ისედაც შეკვეცილ-შეკრეჭილმა ბიუჯეტმა ქართულ სპორტს ახალი დარტყმა მიაყენა, როცა გასულ თვეში დღის წესრიგში დადგა სახსრების კიდევ უფრო შემცირება.

რეგიონების, განსაკუთრებით აჭარისა და დედაქალაქის მერიის პატრიოტიზმი რომ არა, ივლისით ქართული სპორტის ტოტალური ხელმოცარვის ხანა დაიწყებოდა. სწორედ მათი ხელშეწყობით გაემგზავრნენ გარკვეულწილად საერთაშორისო შეჯიბრებებზე ჩვენი ათლეტები. ცხადია, ჯეროვნად უნდა შეფასდეს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ძალისხმევა — ძირითადად ხომ მაინც მათი ავტორიტეტით, ვიმეორებთ, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ავტორიტეტით ხერხდება იმის მიღება, ცხადია, არასრულად, რაც სპორტს ეკუთვნის.

მთავარი მოვლენა ივლისში დანიაში გამართული ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები იყო, სადაც უსახსრობის გამო ჩვენი დელეგაცია შემცირებული რაოდენობით გაემგზავრა. როგორც მოელოდნენ, თავი ძიუდოისტებმა ისახელეს — მოიპოვეს 7 მედალი. ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს მსოფლიო უნივერსიადაზეც. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს მესამე უნივერსიადა იყო, სადაც ჩვენი სპორტული დელეგაცია გამოდიოდა და მედლები კი პირველად ახლა მოვიპოვეთ, როგორც ითქვა, ძიუდოისტების წყალობით. უნივერსიადაზე გამგზავრებაც ბოლო მომენტამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. საქართველოს მთავრობამ, პირადად თედო ისაკაძემ და განათლების სამინისტრომ ყველაფერი იღონეს, რომ გამგზავრება არ ჩაშლილიყო. მონაწილეობამ კი ის გვიჩვენა, რომ ჩვენი ქვეყნის სტუდენტთა სპორტი ღირსეულად შეიძლება წარსდგეს მსოფლიო ფორუმზე, ოღონდ, მეტი მხარდაჭერაა საჭირო. უდავოდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს სლოვენიაში კადეტ კალათბურთელთა მეთხუთმეტფინალამდე მიღწევა. ზოგიერთი წარმატებად მიიჩნევს 18 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა გამოსვლას ევროპის ჩემპიონატში. გასულ თვეში კიდევ ორი ლიცენზია გაგვიჩნდა მომავალ ოლიმპიურ თამაშებში. სიდნეიში გამოსვლის უფლება მოიპოვეს მშვილდოსნებმა ხათუნა ქვრივიშვილმა და ხათუნა ფუტკარაძემ. ევროპის მაკაბიადიდან შინ ყველა მონაწილე მედლით დაბრუნდა, ნინო სალუქვაძემ თავის ნადავლს ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი შემატა, მკლავჭიდელებმა კი ისევ უხვად მოიპოვეს მედლები — ამჯერად ევროპის ჩემპიონატში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ქართველ კადეტთა და მკლავჭიდელთა წარმატებები ევროპის ჩემპიონატებში. სხვადასხვა ასაკობრივ ტურნირებში თავი არც ჩვენს მოკრივეებს და ფალავნებს შეურცხვენიათ. ჩვენი ნიჩბოსნები პირველად მონაწილეობდნენ მსოფლიო თასის გათამაშებაში. მხატვრულ ტანვარჯიშში, მეკლდეურობაში, ცხენოსნობაში, ფრენბურთში ჩატარდა საქართველოს პირველობები. სუმოში საქართველოს პირველ ღია ჩემპიონატში კი იაპონელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. სპორტის ცალკეულ სახეობებში, ჩვენში, სამხარეო შეჯიბრებებიც გაიმართა. მასობრივი სპორტული ღონისძიებებიდან კი განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბენი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბევრ დედაქალაქში და რაიონში ჩატარდა.

ივლისის მონაგარი

	ო.	ვ.	ბ.	სულ
ევროპის ჩემპიონატი	6	6	3	15
ევროპის ახალგაზრდული თამაშები	1	3	3	7
ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა	2	1	2	5
მსოფლიოს უნივერსიადა	1	-	2	3
სულ	10	10	10	30

1999 წლის დასაწყისიდან სულ მოპოვებულია 74 მედალი

ზაზა სიორიძე — თვის საუკეთესო სპონსორი

„ლელომ“ ივლისის თვის საუკეთესო სპონსორად სცნო ზაზა სიორიძე — მაჟორიტარი დეპუტატი ოზურგეთის რაიონიდან.

ჩემპიონთა ლიგა

დავუკითხოთ „სელექციონერებსაც“!

იხ. მე-3 გვ.

ქართა სელაპ იოდენი ჰქნა, თბილისის „დინამო“ თვითმყოფადი, საკუთარი ხელწერის გარეშე დარჩა

ზიმბრუ (მოლდოვა) — დინამო (საქართველო) 2-0

ზიმბრუ: რომანენკო, კულიკი, ტელესნენკო, კატინსუსი, მელაზევი, ოპრეა, ტრაპანეცი, ბორეცი, დოდული (რობუ, 46), ეპურეანუ, ბერკო (რიბაკოვი, 88).

დინამო: დონდტი, ხიზანეიშვილი, ჭიჭვეიშვილი, დიდავა, კიკნაძე, ალექსიძე, სიჭინავა, ვ. გიგიაძე (შენგელია, 56), ხომერიკი, აშვეთია (წიტაიშვილი, 70), დე სოუზა.

გოლები: დოდული (25), ეპურეანუ (90)

გააფრთხილეს: ტელესნენკო, სიჭინავა, დე სოუზა

მსაჯი: ლ. ჰიუ (ბელგია)

დიუსელდორფის ტრიუმფის შემდეგ ჩვენს სათაყვანებელ „დინამოს“ დაღმასვლა დაეწყო: თაობათა ცვლის პროცესი მეტად მოუქნელად, არასწორად მიმდინარეობდა. მაგრამ ქართული ფეხბურთის ფლაგმანი თავის იერსახეს არა და არ კარგავდა მაშინაც კი, როცა სსრკ-ს უმაღლესი ლიგიდან გავარდნის რეალური საფრთხე ემუქრებოდა. „დინამო“ ყველასაგან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობდა, მას ჩვენებური თუ უცხო თვალი ადვილად ამოიცნობდა. არც ტალანტები მოჰკლებია ქართული ფეხბურთის ფლაგმანს, რომლებიც მავანთა „ხელშეწყობით“ ბოლომდე ვერ იხსენებდნენ, მაგრამ მკვეთრ ხნულს კი ტოვებდნენ გულშემატკივრის მეხსიერებაში. შემდეგ ჩვენი საფეხბურთო სისტემა გაეროვნულდა. „დინამო“ სამშობლოში ურყევ ჰეგემონიას იქმნის, თუმცა, თავის იერსახეს ნელ-ნელა კარგავს. „დინამოს“, ნოდიასა თუ ძოძუაშვილის თავკაცობისას ეს ჯერ კიდევ არ ემჩნეოდა — გუნდი კვლავინდებურად რბილი, ტექნიკური, ლამაზი კომბინაციებითა და ინდივიდუალისტური სტილით შეზავებულ ფეხბურთს აჩვენებდა ავად თუ კარგად. იმავდროულად ინერციით მოლაზლაზე ქართული ფეხბურთი, მარტივად რომ ვთქვათ, სუსტდებოდა, რასაც „დინამოდან“ ფეხბურთელთა მიგრაციაც ემატებოდა. ახალგაზრდული შემართებით მოთამაშე „დინამო“ კი შინ კვლავინდებურად უძლეველი იყო და არის, მაგრამ რითია განპირობებული „დინამოს“ ჰეგემონია? გუნდს სმშობლოში საუკეთესო პირობები ჰქონდა და აქვს კიდეც შექმნილი, რისი წყალობით „დინამოს“ ფეხბურთელები სხვებზე უკეთ არიან მომზადებულნი — სწორედ ამის ხარჯზეა „დინამო“ ქვეყნის მარადი ჩემპიონი! თორემ კლასითა და გამოცდილებით ჩვენი ფლაგმანი ვერ დაიკვეხნის, ბუნებრივია, ვერც ლამაზი, მიმზიდველი თამაშით. „დინამო“ ერთის მხრივ ფოკუსირებულია შედეგზე. მაგრამ იმავდროულად კლუბი იძულებულია ძირითადად ფეხბურთელთა გაყიდვით ირჩინოს თავი. ასეთ სიტუაციაში გუნდი კარგავს თავის ხელწერას, ემსგავსება უსუსურად, მაგრამ მაინც ფეხზე წამომდგარ და მომუშავე საამქროს.

... „დინამოს“ და ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელობამ უცხოელ სპეციალისტს უხმო, ნაკლებად ცნობილსა

იხ. მე-3 გვ.

ქართული სპორტი მათხოვრობით დაილალა... (იხ. მე-2 გვ.)

თქვენც იცოდეთ...

● **ავხაზეთის** თვითაღიარებული ხელისუფლება ცდილობს სპორტი, კერძოდ კი, ფეხბურთი თავის ხალხთან მუდმივი სიახლოვის ბერკეტად გამოიყენოს. თანაც სეპარატისტთა ლიდერის არძინბას პიროვნების წინა პლანზე წამოწევა სურთ. ამ მიზნით, აფხაზეთის პირველობა ახალგაზრდებს შორის არძინბას თასზე ტარდება. ფინალი გიმართა გაგრაში. შფოთიანმა ფინალმა გამარჯვებულად ოჩამჩირის გუნდი სცნო. გალელებს, თუნდაც პოლიტიკური მოსაზრებით, ცხადია ოჩამჩირელებს არავინ „დაჩაგვრინებდა“.

● **დღეს,** 6 ივლისს, თბილისის მერიის სპორტის სამმართველოში შეხვედრას უწყობენ თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს კადეტთა ნაკრებს, როშელმაც ამ დღეებში წარმატებით იასპარეზა კადეტთა მსოფლიო პირველობაში.

● **პოლიტიკური** გაერთიანება „სპორტული საქართველო“ სერიოზულად ემზადება მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისათვის. მთავარი საბჭოს გადაწყვეტილებით უახლოეს ხანში ჩატარდება ყრილობა, რომელიც ცვლილებებს შეიტანს წესდებაში და განსაზღვრავს წინასაარჩევნო სტრატეგიას.

● **ცნობილ** ფეხბურთელ თენგიზ სულაქველიძეს გადაუწყვეტია გახსნას საფეხბურთო აკადემია. თუ ჩანაფიქრი რეალობად იქცა, ჩოგბურთისა და კალათბურთის აკადემიების შემდეგ ეს იქნება მომავალ სპორტსმენთა დაოსტატების მესამე ასეთი კერა საქართველოში.

● **გიორგი ძანდღლაძი** 11 აგვისტოს ვარიანში გამართავს პრეს-კონფერენციას. ვარაუდობენ, რომ იმ დღეს ვარიანში სტუმრად იჭნებიან ცნობილი პროფესიონალი მოკრივეები და მათი მენეჯერები.

● **ბამოცხადდა** მომავალი საპარლამენტო არჩევნების თარიღი — 1999 წლის 31 ოქტომბერი.

დარჩება თუ არა ბოსკამპი „დინამოში“? კლუბიდან წასვლის თაობაზე პოლანდიელს ოფიციალურად ჯერ ან განუცხადებია. სავარაუდოა, კლუბის ხელმძღვანელობამ დღეს, 6 აგვისტოს, იმსჯელოს შექმნილ ვითარებაზე.



რაზომ ეწინააღმდეგება სიახლეს განათლების სამინისტრო?

ბოლნისის რაიონის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე ყოფილი სპორტსმენია და მისთვის უცხო არ არის ქართულ სპორტში შექმნილი პრობლემები. რაიონში ისიც კარგად იციან, რომ თანამედროვე პირობებში, ეფექტურობა, ნებისმიერ საქმეში დიდადაა დამოკიდებული მართვის სისტემის სრულყოფაზე. ბოლნისის გამგებელმა ალბათ კარგად იცოდა, რომ ადრე იდეა, ადგილებზე სპორტული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ, უწყებრივი ბარიერების გამო, რეალობად ვერ იქცა. ახლა, როცა რაიონის განათლების სპორტული სკოლა და რაიონის სპორტკომიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსირდება, ბოლნისში ამ ორი ორგანიზაციის ერთმმართველობაში მოქცევა გადაწყვიტეს. განათლების სამინისტროში ბოლნისელთა ამ სიახლეს ხმალამოღებული შეხვდნენ. „არავითარი გაერთიანება!“ – აი, როგორია მათი პოზიცია. რატომ? თუ საქმისთვის ასე აჯობებს? არადა, ნამდვილად რომ აჯობებს, ეს ხომ ყველამ კარგად იცის, იციან, თვით განათლების სამინისტროშიც, მაგრამ ეტყობა, იქ ჯერ კიდევ უჭირთ უწყებრივ ამბიციებთან გამომშვიდობება.

ისე, ზოგჯერ, რაც მეტს შეეკითხები ზემდგომს, მით უფრო მეტ წინააღმდეგობას წააწყდები. არა, თვითნებობას არ ვაქებთ, მაგრამ არანაირი თვითნებობა არ იქნებოდა, ბოლნისის გამგეობას რომ გამოეტანა სპორტკომიტეტისა და სპორტსკოლის გაერთიანების დადგენილება. ზრდილობისთვის მაინც დაკითხოდნენ და... როგორც იტყვიან, ინიციატივა დასჯადია!

ირაკლი სარალიძე, „ლელოს“ კორ. ქვემო ქართლში

თენგიზ გაზდელიანი ასოციაციის პრეზიდენტია

ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციამ რიგგარეშე ყრილობა ჩაატარა. ახალი კანონმდებლობის შესაბამისად წესდებაში ცვლილებების შეტანასთან ერთად ყრილობამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი. საქართველოს ხელბურთის ასოციაციის (ამერიდან ასე იწოდება ფედერაციის სამართალმემკვიდრე ორგანიზაცია) პრეზიდენტად აირჩიეს ***თენგიზ გაზდელიანი,*** ვიცე-პრეზიდენტებად ***ჯემალ ცერცვაძე, ალექსანდრე კიკაბიძე*** და ***მამუკა სხიერელი,*** გენერალურ მდივნად — ***თამაზ თევზაძე.***

სოტომაიორიც გაეგბა

მსოფლიოს სახელგანთქმული მძლეოსანი, კუბელი ხავიერ სოტომაიორი ამიერიდან იმ ასევე ცნობილ სპორტსმენთა შორის მოიხსენიება, ვინც ამა თუ იმ შეჯიბრებაში უპატიოსნო გზით, ანაბოლიკების დახმარებით მიაღწია მაღალ სპორტულ შედეგს. სოტომაიორს პანამერიკული თამაშების ოქროს მედალი ჩამოართვეს და ორი წლით ჩამოაშორეს მძლეოსნობას — მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც მსოფლიო ჩემპიონატში და ვერც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში. ამის შესახებ თვით იაააფ-ის პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ გამოაცხადა და დასძინა, რომ იგი შოკირებულია მომხდარით. უძნელდება დაიჯეროს რეალობა, რადგან უდიდესი პატივისცემით იყო გამსჭვალული კუბელი ლეგენდარული ათლეტის მიმართ.

1 აშშ დოლარი – 1.8000 ლარი.

სასამართლო

მაინც გაისტუმრებენ

გახსოვთ ალბათ, ნაგანოში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრების წინ რუსეთის მთავრობა და ოლიმპიური კომიტეტი გამარჯვებულ და პრიზიორ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს ხოლოდ ფულად ჯილდოს დაპირდნენ. გავიდა ამდენი დრო და დაპირება დაპირებად დარჩა. მოტყუებულებმა საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი. სასამართლომ მოთხოვნა დაკმაყოფილა. ახე რომ, დანაპირებ ფულად ჯილდოს სპორტსმენებ და მწვრთნელები, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, მალე მიიღებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგეთ! ქართული სპორტი მათხოვრობით დაიღალა...

ქართველმა მძლავჭიდელებმა მრავალგზის ასახელეს სამშობლო, მათ მიერ მოპოვებულმა მედლებმა ნიო-ს გადააჭარბა და... შეიძლება ისტორია ამით დასრულდეს...



ბესიკი ბესელია

საგანგაშო ვითარებამ უკვე აპოგეას მიაღწია. „დავიღალე, ყველა შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ ნერვები გვაწყდება, მთელი გუნდი სტრესშია, ბოლო წუთამდე არ ვიცით, წავალთ თუ არა. თუ მივდივართ, ფიზიკურად და მორალურად დათრგუნულები ვებმეთით შეჯიბრებაში“ — ამბობს ვახტანგ მუსელიანი, საქართველოში მკლავჭიდის დამფუძნებელი, ფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ის 600-ზე მეტი მედალი, მისი დამსახურებაა, როგორც ორგანიზატორისა და მწვრთნელის, მაგრამ გინესის რეკორდების წიგნში შესატან ამ მონაგარს, შეიძლება მომავალში ერთი ჯილდოც აღარ შეემატოს. ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების წინ გადატანილმა ნერვიულობამ და თავმოყვარეობის შელახვამ მკლავიდის მამები და თვით სპორტსმენები სერიოზულად დააფიქრა. სპორტის დეპარტამენტმა უმძიმესი ეკონომიკური გაჭირვების მიუხედავად, მაინც მოახერხა ევროპის ჩემპიონატისათვის ნაკრების ძირითადი ბირთვი დაეფინანსებინა. ნაკრების ხელმძღვანელობა ყოველი შეჯიბრების წინ უხერხულობაში ვარდება სპორტსმენების წინაშე — ნაწილობრივი დაფინანსება ხომ გუნდის შეკვეცას ნიშნავს — ეს ერთი, მეორე — ვინ გინდა გამოარჩიო, როცა ამდენი ტიტულოვანი სპორტსმენი შემოგცქერის? ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ბელგიის ქალაქ როშფორში, 9 მკლავჭიდელი გაემგზავრა, აქედან 3 საკუთარი სახსრებით. ბევრია 9 მონაწილე თუ ცოტა? ძალიან ცოტაა — თუ გავითვალისწინებთ, რომ შეჯიბრებები ტარდება 12 წონით კატეგორიაში, თანაც მარჯვენა და მარცხენა ხელით, თითოეულ წონაში კი 3-3 მონაწილე შეიძლება გამოიფინო. ამჯერადაც შინ ჩვენი ბევრი სახელოვანი მკლავიდელი დარჩა, მათ შორის არაერთი ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი.

აი, ასეთი ფონი უძღოდა წინ ევროპის ჩემპიონატს. მართლა ათი თავით მაღლა უნდა იდგე, რომ მაძღარ და სპეციალური პროგრამებით მოვარჯიშე მეტოქეებს კვარცხლბეკზე ადგილს შეეცილო. ჩვენებს შეკრებაც კი მოენატრათ, თუნდაც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოსამზადებლად.

გავეცნოთ ევროპის ამ ჩემპიონატზე ჩვენების მიღწევებს: **50 კგ.** თემურ ლიპარტაშვილი (გაემგზავრა საკუთარი ფულით) — II ადგილი მარჯვენათი, III — მარცხენათი (წინა წლების მსოფლიო ჩემპიონია); **55 კგ.** გურამ გიგოლაშვილი — I მარჯვენათი, II — მარცხენათი (ესეც მსოფლიო ჩემპიონია); **60, 65, 70, 75, 85, 100 კგ-ში** მონაწილენი არ გვყოლია. უსახსრობის გამო შინ დარჩნენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები; **80 კგ.** ვეფხვია სამხარაძე — II მარჯვენათი (მსაჯებმა აშკარად არაობიექტურად იმსაჯეს, III — მარცხენათი; **90 კგ.** ვახტანგ შიხაშვილი — II მარჯვენათი; **110 კგ.** დავით ჭელიძე — I მარჯვენათი და მარცხენათი, — **110 კგ.** ერეკლე გურჩიანი — I მარცხენათი, II — ვახტანგ ჯავახაძე. (ეს ფინალი ქართული გამოდგა). ვახტანგ ჯავახაძე — I მარჯვენათი, II — ერეკლე გურჩიანი (ეს ფინალიც ქართული გამოდგა, ადგილები კი შენაცვლებით განაწილდა), III — კახა აფციაური (გაემგზავრა საკუთარი ფულით).

ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც გაიმართება ვლადიკავკაზში სექტემბრის ბოლოს. ესაა საიუბილეო XX ჩემპიონატი. ჩრდილოეთ კავკასიაში თავს მოიყრიან მსოფლიოს უძლიერესი მკლავჭიდელები. ამ ფორუმში ჩვენების გამოსვლას, თუნდაც ჩემპიონატის ჩატარების ადგილის თვალსაზრისით, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აგერ, სულ მალე გაირკვევა, გვინდა თუ არა სპორტული წარმატებები ქვეყნის თანმდევი იყოს...

ც. ბაძრაძე

უფრო დაწვრილებით

ბაჭირვებით გაიცილეს, სიხარულით მიიღეს

ბაბა კარაგეზიანი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ჭიდაობის მოყვარულებმა მხოლოდ ის შეიტყვეს, რომ დანიის ქალაქ ნიკობინგში ჩატარებულ კადეტთა მსოფლიო პირველობაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს წარგზავნილებმა ორი ოქროს და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მაგრამ, ცნობილი არ იყო ამ პრიზიორთა ვინაობა. დღეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ბაბა კარაგეზიანი „ლელოს“ სტუმარია.

— ვიდრე უშუალოდ ხალიჩის პერიპეტიებზე ვისაუბრებ, მინდა გითხრათ, თუ რა პირობებში აღმოვჩნდი პირადად მე, — თქვა ნაკრების მწვრთნელმა. ასპარეზობაზე საქართველომ მხოლოდ რვა მონაწილე მიაგზავნა. არადა, გუნდში გვყავდნენ ძლიერი მოჭიდავეები, წინა პირველობის გამარჯვებულები და პრიზიორები, მაგრამ მათ ხელის გამმართავი არავინ აღმოუჩნდათ და შინ დარჩნენ. მთლიანი გუნდი — 10 კაცი რომ გვყოლოდა, მათ შეჯიბრების დებულების თანახმად, თან უნდა ჰყოლოდათ ხელმძღვანელ-წარმომადგენელი. სამი უმაღლესი კატეგორიის მსაჯი, ექიმი, მეორე მწვრთნელი და მასაჟისტი. ერთი ჩვენი მსაჯი — ედიშერ მაჩაიძე რომ წამოგვყოლოდა, დიდად დაგვეხმარებოდა. მაგრამ... დელეგაცია აი, ასეთი შეთხელებული რიგებით წარსდგა ასპარეზობაზე და, რაც მთავარია, ყველა ზემოჩამოთვლილი ფუნქცია მე დამეკისრა. ალბათ ამიტომაც შემარქვეს კოლეგებმა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან „Одинокий волк“. და, ბედნიერად ვთვლი თავს, რომ გარკვა წყალში არ ჩამეყარა, მაღლობა ბიჭებს, რომლებიც მართლა მგლებივით იბრძოდნენ ხალიჩაზე და მეტოქეს ტოლს არ უდებდნენ.

ჩვენი წარმატების პირველი მერცხალი ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის აღზრდილი მჩატე წონის პაატა ბიწაძეა, რომელმაც ფინალამდე 5 შეხვედრა მოიგო, მათ შორის — მეორე რუმინელ ტოდორ იანესკუსთან (3:1) და გადამწყვეტ შეხვედრაში კვლავ მას დაუპირისპირდა, რომელიც ამჯერად 6:1-ზე დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. მას შესანიშნავად აუბა მხარი 63 კგ წონის (ამ წონაში ყველაზე მეტმა მონაწილემ მოიყარა თავი) ბათუმელმა ელიზბარ მაჭუტაძემ (ისიც ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის აღზრდილია). მანაც ფინალამდე ხუთივე შეხვედრაში გაიმარჯვა, მათ შორის შარშანდელი ჩემპიონატის II პრიზიორ ფინელ უსი კეკისთან, არ დაგავიწყდეთ, მაშინ მან ფინალი ივანე ჩუბინიძესთან დათმო, ჩუბინიძე ამჯერად უსახსრობის გამო შინ დარჩა.

მაჭუტაძემ ფინალშიც დამაჯერებლად გიმარჯვა სომეხ მოჭიდავესთან — ჟორა ვარდანიანთან — 6:3.

არც მეორე ბათუმელ რამაზ დევაძეს (100 კგ, ორს) ჰქონია იოლი შეხვედრები. მასაც ფინალამდე შარშანდელი მეორე პრიზიორი, ამერიკელი ელროსი აღუდგა წინ, შემდეგ მოსკოვის ახალგაზრდული თამაშების ვერცხლისმედალისანი, ერევნელი სერიუ მურადიანი, ფინალში კი ამ თამაშების ჩემპიონ, რუს ალექსანდრე ჩერნიჩენკოსთან დათმო ბრძოლა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. უნარიანად დაიწყო შეჯიბრება რამაზ ნოზაძემ (100 კგ), მან მოიგო სამი შეხვედრა, მაგრამ ფინალში გადასასვლელი ბრძოლა წააგო თურქ ადეგტასოისთან, საბოლოოდ — ბრინჯაოს მედალი.

ურიგოდ არც ისინი გამოსულან, ვინც პრიზიორთა მიღმა დარჩა. მაგალითად, თბილისელი ალექსანდრ ტაბატაძემ წინასწარ შეხვედრებში დაამარცხა რუსი, რუსტამ სინდიკოვი, მაგრამ რუმინელ მატეისთან, რომელსაც ერთი თვის წინათ თურქეთის საერთაშორისო ტურნირში სძლია, დათმო შეხვედრა. 58 კგ წონის ოზურგეთელ ლაშა ლომაძეს კი კვარცხლბეკამდე ნაბიჯიღა დააკლდა და მეოთხე ადგილზე გავიდა. გუნდში იყვნენ აგრეთვე თბილისელი დანტე ჭინჭარაული (69 კგ), ქუთაისელი მამუკა ჟვანია (76), რომლებმაც გუნდს შესძინეს ქულები მესამე ადგილის მოსაპოვებლად.



42 კგ: 1. რუსტამ სინდიკოვი (რუსეთი), მოჰამედ ნაზარატი (ირანი), 3. კაიურბეკ ბერიკოვი (ყაზახეთი); ***46 კგ:*** 1. დაურენ ბაიაკხმეტოვი (ყაზახეთი), 2. ლაიოშ ადამი (უნგრეთი), 3. ფარზად იმანალიზადენი (ირანი); ***50 კგ:*** 1. ემილ ბაშიროვი (აზერბაიჯანი), 2. ალექსანდრ პროკაპოვიჩი (ბელარუსი), 3. მატი კეტუნენი (ფინეთი); ***54 კგ:*** 1. პაატა ბიწაძე (საქართველო), 2. ტუდორელ იონესკუ (რუმინეთი), 3. არტიომ პოდოსიანი (სომხეთი); ***58 კგ:*** 1. მაქსიმ პოდოლსკი (უკრაინა), 2. ალი ოფუზ გიურზელი (თურქეთი), 3. ოლეგ პოპენინი (რუსეთი). ***63 კგ:*** 1. ელიზბარ მაჭუტაძე (საქართველო), 2. ჟორა ვარდანიანი (სომხეთი), 3. არმენ ვარდანიანი (უკრაინა); ***69 კგ:*** 1. სელჩუკ გუბი (თურქეთი), 2. ამირ განიტამიმი (ირანი), 3. ალექს კრასავინი (რუსეთი). ***76 კგ:*** 1. ნიკოლაი კურაკოვი (რუსეთი), 2. მუსტაფა ჰაილაკი (თურქეთი), 3. ელმირ გაზიმამედოვი (აზერბაიჯანი); ***85 კგ:*** 1. ადემ ტასოი (თურქეთი), 2. ჰასან ბაროევი (რუსეთი), 3. რამაზ ნოზაძე (საქართველო); ***100 კგ:*** 1. ალექსანდრ ჩერნიჩენკო (რუსეთი), 2. რამაზ დევაძე (საქართველო), 3. მუსტაფა გეტინიურექი (თურქეთი).

გუნდური პირველობა: 1. თურქეთი, 2. რუსეთი, 3. საქართველო, 4. ირანი, 5. სომხეთი, 6. ყაზახეთი. როგორც ხედავთ, პირველ ექვსეულში ვერ მოხვდნენ ჭიდაობის აღიარებული ქვეყნები: პოლონეთი, უკრაინა, ბელარუსი, უნგრეთი, ფინეთი, გერმანია, აზერბაიჯანი და სხვა.

დაბოლოს, დიდი მადლობა უნდა გადავუხადო მოჭიდავეთა სახელით თბილისის მერიას, რომელმაც გასამგზავრებლად თავისი ქალაქის მოჭიდავეების დაფინანსების გარდა, მთელ გუნდს შეუძინა ერთიანი სპორტული კოსტუმები წარწერით **„Georgia“**, რაც კარგა ხანია ჩვენს მოჭიდავეებს არ სცმიათ ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაზე. გუნდის წევრების დაფინანსებაში დიდი წვლილი შეიტანეს აგრეთვე აჭარის სპორტულმა ორგანიზაციებმა, თავიანთ წარმომადგენლებს ფინანსური დახმარება გაუწია ქუთაისმა და ოზურგეთმა, კერძოდ, იქაურმა მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა სიორიძემ. და კიდევ, მოჭიდავეებს თან გაჰყვათ, ვეტერან ფალავანთა განაწესი, რომლითაც მათ მერიის სპორტის სამმართველოში დამოძღვრეს ჩემპიონატის მონაწილენი და ამან სათანადოდ განაპირობა მათი გამოსვლები.

ჩაიწერა
შშანგ ჯიჯინაძემ

ოსტატი — ოსტატთა აღმზრდელი

მთელი ცხოვრება წყალთან



ნიკოლაი გირდა

იყო დრო, მცხეთელ ყმაწვილთა გზა-ბილიკი დიდ სპორტში, მეტწილად, ნიჩბოსნობაზე გადიოდა. ნიკოლაი გირდაც თანატოლ ბიჭებთან ერთად მტკვარზე იზრდებოდა, ცურვას შეისწავლიდნენ და ამის შემდეგ დგებოდა ოცნების ასრულების დრო — სპორტულ ნავში შეეძლოთ ჩაჯდომა. ვალიკო, ასე ეძახიან ბავშვობიდან ნიკოლაი გირდას, 1954 წელს პირველად ხდება საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის. 1958 წელს იგი, უკვე როგორც საქართველოს ათგზის ჩემპიონი, ჩაება მცხეთაშივე გამართულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში და ოქროს მედალი ხვდა წილად. შემდეგ ხალხთა სპარტაკიადის ზონალურ შეჯიბრებებში ოთხჯერ მოიპოვა გამარჯვება. სპარტაკიადის ზონალურ ასპარეზობებში კი სამჯერ გავიდა საპრიზო ადგილზე. არაერთხელ მოუპოვებია მაღალი შედეგები „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირველობებში.

როცა დიდი სპორტიდან წასვლის დრო დადგა, სხვა არჩევანი არც გაუკეთებია — ნიჩბოსანთა დაოსტატებას შეუდგა და აქაც თავდადებული შრომით მოიმკა სასურველი შედეგები. დიდხანს მუშაობდა საქართველოს ნაკრებ გუნდში. საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში მოამზადა მრავალი სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის პირველობების პრიზიორი.

— დღეს რომ მცხეთაში სანიჩბოსნო სპორტი ისევ არსებობს, ეს ვალიკოს დამსახურებაა — ამბობენ მცხეთელები. ისინი სიმართლეს ამბობენ. საქართველოში განვითარებული ცნობილი მოვლენების პერიოდში, როცა ყველა ყველაფერს იტაცებდა და სპობდა, ამ კაცმა განადგურებას გადაარჩინა სპორტული ნავები, ნიჩბები, სხვა ინვენტარი, ურომლისოდ მცხეთელი მოსწავლეები მტკავრზე კარგა ხანს ვერ გავიდოდნენ. ახლა სწორედ მათ აღზრდაოსტატებას ემსახურება სანიჩბოსნო სკოლაში დღეს უკვე 60 წლის ვალიკო გირდა, კაცი, რომელსაც ჯერ პირადად მოჰქონდა წარმატებები ქართული სპორტისათვის, ახლა კი შეგირდების აღზრდა გაუხდია ქვეყნის სამსახურად.

ც. ბაძრაძე

ლელო-მატიანე

რა ხდებოდა 50 წლის წინათ...

- ელენე გოკიელმა 1949 წლის 19 ივლისს ახალი საკავშირო რეკორდი (11,3) დაამყარა 80 მეტრზე თარჯრბენში („ლელო“, 22 ივლისი, 1949 წ).
- **გაბრიელ ხანუკაევილმა** მეორედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა კრივში („ლელო“, იგივე).
- **თბილისის „სპარტაკმა“** 1949 წლის 17 და 19 ივლისს ზედიზედ დაამარცხა ტალინის „კალევი“. ამ დროისთვის ანდრო ჟორდანიას ხელმძღვანელობით სპარტაკელ ფეხბურთელებს 32 ქულა ჰქონდათ 32 შესაძლებლიდან. ეს იყო თავისებური რეკორდი საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში („ლელო“, *იგივე*).
- **აბარის** თასის გათამაშება ფეხბურთში მოიგო „ბურევესტნიკმა“, რომელმაც განმეორებით მატჩში დაამარცხა „გლავნეფტესბიტის“ გუნდი („ლელო“, 22 ივლისი, 1949 წ.).
- **მოცურავეებმა** თბილისელმა ლ. ფაჩულიამ, ოჩამჩირელმა ი. აბოვიანმა და სოხუმელმა გ. გაბელიამ საქართველოს რეკორდები დაამყარეს საკავშირო საკლასიფიკაციო შეჯიბრებაში („ლელო“, *იგივე*).
- **თბილისში** გაიმართა საგზატკეცილო მარუსა — ველოკროსი „თბილისის რკალი“, გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ავთანდილ გუნიამ („ლელო“, *5 აგვისტო, 1949 წ.*)

რჩევა

თუ ველოსიპედით ან ფეხით ივლით...

ჯანმრთელობის კუთხე

თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

დიდი ბრიტანეთის ექიმთა ასოციაციის მიერ ჩატარებულ გამოკვლევათა თანახმად, ფეხით რეგულარულად სიარულს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა პრევენციაში. გამოიკვლიეს 45-დან 64 წლამდე ასაკის 9.000 სახელმწიფო და კერძო სექტორის მოხელე. მათგან რეგულარულად ფეხით დადიოდა მხოლოდ 9%. გამოკვლეულთა შორის კორონარული დაავადებების ფატალური და არაფატალური გამოვლინებანი უპირატესად აღენიშნებოდათ იმ პირებს, რომლებიც უფულებელყოფენ ფიზიკურ დატვირთვას.

მსგავსი დასკვნები მიღებულია დასავლეთ ევროპის სხვა მეცნიერთა მიერაც. ფინეთში ადასტურებენ ზემოაღნიშნულს და მიგვითითებენ, რომ ფეხით სიარული სამსახურამდე და უკან, აკმაყოფილებს ფიზიოლოგიურად ეფექტური ფიზიკური აქტივობის ინტენსიურობის კრიტერიუმს. ქარხნის მუშების გამოკვლევამ აჩვენა, რომ იმ მუშების ჯანმრთელობა, რომლებიც სამსახურში დადიან ველოსიპედით, მათზე 10 წლით უმცროსების ჯანმრთელობის ექვივალენტურია. სხვა გამოკვლევებით 35 წლის ასაკის ზემოთ, ვინც ველოსიპედით კვირაში 60 მილს გადის, შესაძლებელია სიცოცხლე გაუხანგრძლივდეს 2 წლით. ჰოლანდიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ველოსიპედით ყოველდღიური სიარული იძლევა ისეთსავე ფიზიკურ აქტივობას, როგორც სპეციფიური საწვრთნელი პროგრამა.

ინფორმაცია მომზადებულია გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

გაუფრთხილებლობა

სიმძიმის აწევა მძიმე ტრავმის მიზეზი გახდა

„ლელოს“ წინა ნომერში რუბრიკით „სიდნეი-2000. ჩვენი კანდიდატები“ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე მირიან გიორგაძე წარმოგიდგინეთ. გუშინწინ მირიანს მწვრთნელის მითითებით შტანგით უვარჯიშია. სპორტსმენს სიმძიმე უჭამოდ, წელის დაცვის გარეშე აუწევია და ტრავმა მიუღია. ექიმებს სასწრაფო ოპერაციაც შეუთავაზებიათ მომავალი გართულებების თავიდან ასაცილებლად. გუშინ, 5 აგვისტოს, განმეორებით შემოწმებაზე დაასკვნეს, რომ დაზიანებული ხერხემლის დისკი უბრუნდება თავის მდგომარეობას და ოპერაციულ ჩარევაზე დასტაქრებმა თავი შეიკავეს.

? შეკითხვა „ლელოს“

შეკითხვა: ამბობენ, რომ სპორტულმა ფედერაციებმა ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაიარონ, თანაც აუცილებლად სასამართლოში. გთხოვთ გვიპასუხოთ, სწორია ეს ინფორმაცია?

გივი სახვაძე, ქუთაისი

პასუხი: დიახ, სწორია. ახალი კანონმდებლობით საზოგადოებრივი ორგანიზაციები რეგისტრირდებიან სასამართლოებში, როგორც კავშირი ან ასოციაცია. ასე რომ, ყველა სპორტულმა ფედერაციამ უნდა ჩაატაროს თავისი ყრილობა (კონფერენცია) გახდეს ადრინდელის სამართალმემკვიდრე და რეგისტრაცია გაიაროს მხოლოდ სასამართლოში. ვადა 1999 წლის 1 სექტემბრამდეა. ამ წესით რეგისტრაცია უკვე გაიარეს საქართველოს ჭადრაკის, ჩოგბურთის ფედერაციებმა. სასამართლოს მალე მიაკითხავს ხელბურთის ფედერაცია.

ჩემპიონთა ლიგა

მეორე შესარჩევი ეტაპი. განმეორებითი მაჯრები

ვალეტა (მალტა) — **რაპიდი (ავსტრია)** 0-2 (0-3)
სლოვანი (სლოვაკეთი) — **ანორთოსისი (კვიპროსი)** 1-1 (1-2)
რიეკა (ხორვატია) — **პარტიზანი (იუგოსლავია)** 0-3 (1-3)
მოლდე (ნორვეგია) — ცსკა (რუსეთი) 4-0 (0-2)
ვიძევი (პოლონეთი) — ლიტექსი (ბულგარეთი) 4-1 (3-2 პენ.) (1-4)
რეინჯერსი (შოტლანდია) — ჰაკა (ფინეთი) 3-0 (4-1)
აეკ (შვედეთი) — დრეპტრანსმაში (ბელარუსი) 2-0 (1-0)
ბრონდბიუ (დანია) — სლოგა (მაკედონია) 1-0 (1-0)
ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 0-0 (1-1)
ჟალგირისი (ლიტვა) — **დინამო (უკრაინა)** 0-1 (0-2)
მტკ (უნგრეთი) — ვესტმანაეირი (ისლანდია) 3-1 (2-0)
გენკი (ბელგია) — **მარიბორი (სლოვენია)** 3-0 (1-5)
სკონტო (ლატვია) — რაპიდი (რუმინეთი) 2-1 (3-3)

შენიშვნა: შავი შრიფტით გამოყოფილია გუნდები, რომლებიც გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდნენ.

III შესარჩევი ეტაპი

I წრე – 10, 11 აგვისტო, II წრე – 24, 25 აგვისტო
ტეპლიცე (ჩეხეთი) – ბორუსია (გერმანია)
ბრონდბიუ (დანია) – ბოავიშტა (პორტუგალია)
რაპიდი (ავსტრია) – გალათასარაი (თურქეთი)
შტურმი (ავსტრია) – სერვეტი (შვეიცარია)
სპარტაკი (რუსეთი) – პარტიზანი (იუგოსლავია)
ზიმბრუ (მოლდოვა) – პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
ჰერტა (გერმანია) – ანორთოსისი (კვიპროსი)
ჩელსი (ინგლისი) – სკონტო (ლატვია)
ფიორენტინა (იტალია) – ვიძევი (პოლონეთი)
ოლბორგი (დანია) – დინამო (უკრაინა)
მოლდე (ნორვეგია) – მალიორკა (ესპანეთი)
ლიონი (საფრანგეთი) – მარიბორი (სლოვენია)
კროაცია (ხორვატია) – მტკ (უნგრეთი)
რეინჯერსი (შოტლანდია) – პარმა (იტალია)
აეკ (საბერძნეთი) – აიკ (შვედეთი)
ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) – ვალენსია (ესპანეთი)

ინტერტოტო. ნახევარფინალი ● II წრე

მონპელიე (საფრანგეთი) — დუისბურგი (გერმანია) — 3-0 (1-1)
ჰამბურგი (გერმანია) — ტრაბზონსფორი (თურქეთი) — 4-1 (2-2).

ფინალი

I წრე — 10 აგვისტო. II წრე — 24 აგვისტო
იუვენტუსი (იტალია) — რენი (საფრანგეთი)
მონპელიე (საფრანგეთი) — ჰამბურგი (გერმანია)
ვესტ ჰემი (ინგლისი) — მეცი (საფრანგეთი)

ავსტრია (ავსტრია) — **რენი (საფრანგეთი)** 2-2 (0-2)
იუვენტუსი (იტალია) — როსტსელმაში (რუსეთი) 5-1 (4-0)
ჰერენვენი (ჰოლანდია) — **ვესტ ჰემი (ინგლისი)** 0-1 (0-1)
პოლონია (პოლონეთი) — მეცი (საფრანგეთი) 1-1 (1-5)

იუვენტუსი (იტალია) — როსტსელმაში (რუსეთი)

გიორგი დემეტრაძე

რუსეთი. ეროვნული ჩემპიონატი. XIX ბური

ალანია — ტორპედო 6-1 (ორი გოლი გიორგი დემეტრაძემ გაიტანა), ჩერნომორეცი — სპარტაკი 1-1, ლოკომოტივი — ჟემჩუჟინა 1-1, დინამო — სატურნი 0-0, კრილია — ნიჟნი ნოვგოროდი 3-0, შინიკი — როტორი 2-0.

ლიდერობენ: სპარტაკი (53), ლოკომოტივი (40), ცსკა (37), ტორპედო (33), დინამო (32), ალანია (31).

ბომბარდირები: დემეტრაძე (ალანია), ტიხონოვი (სპარტაკი) — 16-16; ტერიოხინი (დინამო) — 10.

დავეკითხოთ „სელექციონერებსაც“!

(პირველი გვერდიდან)

და საშუალო დონისას – იქნებ როგორმე თანამედროვე ფეხბურთს ავუწყოთ ფეხიო. იოჰან ბოსკამპის თავკაცობ თ ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ორივე მატჩი წაგო, „დინამო“ კი მყისვე გამოეთიშა ევროტურნირებს. ქართული მასმედია თავდაპირველად მხარში ამოუდგა გადამთიელს. მერე რა, რომ ოსლოში ნორვეგიასთან დამარცხდა, სამაგიეროდ, ნაკრებში ისეთი არანორმალური და ცუდი სიტუაცია ადარაა, როგორც გუცაევის თავკაცობისას სუფევდა. მაგრამ თბილისში ბერძნებთან მარცხში ბოსკამპმა მართლაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა – ჯანაშიას გაგდებით ნაკრები ფაქტობრივად უთავდამსხმელოდ დატოვა (ჩვენი მეორე საერთაშორისო კლასისა და გამოცდილების ფორვარდი შოთა არველაძე ხომ ტრავმირებული გახლდათ); უარი თქვა რამდენიმე გამოცდილ მოთამაშეზე და სანაცვლოდ 18 წლამდელთა ნაკრების წევრებს დაეყრდნო. იოჰან ბოსკამპის მუშაობაში დადებითი მომენტების დანახვაც შეიძლება – მას სურს, რომ ნაკრების და „დინამოს“ მოთამაშეებს, რაც შეიძლება მეტი ტაქტიკური ფლექსაცია შესძინოს. მაგრამ განა ამის ერთი ხელის მოსმით, სულსწრაფად გაკეთება შესაძლებელია? სფფ-მ კი კვერი დაუკრა იმათ, ვისაც ბოსკამპი ქებით ცაში აჰყავდა და ბერძნებთან მარცხს დადებით მოვლენად რაცხდა, თუმცა ნუ იტყვით, ჩვენი ფეხბურთის გაერთვნულების შემდეგ, ბერძნებთან მატჩში ქართველმა ფეხბურთელებმა პირველად ითამაშეს თავდადებით, მონდომებით, პატრიოტული ჟინით. ნუთუ დაგვავიწყდა როგორ ვძლიეთ უელსს შინ და გარეთ; როგორ მოვუგეთ სტოიჩკოვებსა და ლეჩკოვებს თბილისში; როგორ გავუხადეთ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ იტალიელებს სათუოდ საფრანგეთი-98-ზე თამაში; როგორ აჯობა ჩვენმა „დინამომ“ მოსკოვურ „ტორპედოს“, ან მოლდოვაზე შური როგორ ვიძიეთ აქაც და იქაც? მოკლედ, ქართული ფეხბურთის თავკაცობა მეტად ღონივრად ებღაუჭებოდა თავის ფავორიტს...

იოჰან ბოსკამპმა, ქართული წერაკითხვა და მეტყველება არ იცის, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი მასმედიის პოზიცია მის მიმართ ზედმიწევნით კარგად აქვს შესწავლილი. ეს მისი პროფესიული წმიდათაწმიდა მოვალეობაა. არაა გასაკვირი, თუ ბოსკამპს „პატარა ცახესის“ ავადმყოფობამაც შეუღიტინა – როცა მწვრთნელი არ განიცდის ზეწოლას პრესისგან (კარგი გაგებით), ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა. ბოსკამპმა მეტად თავისებური სასელექციო მუშაობა გასწია „დინამოში“. ევროტურნირებზე საასპარეზოდ უხმო გამოუცდელ ახალგაზრდობას, აგრეთვე სიმწიფის ასაკს მიღწეულ ფეხბურთელებს, ვისაც ეროვნულ ჩემპიონატში თავი დიდად არ გამოუჩენიათ და არც ნაკრების კანდიდატები ყოფილან როდესმე. „აღმოაჩინა“ ვინმე სილიო ანდრე დე სოუზა, ხოლო გამოცდილებითა და კლასითაც „დინამოში“ ყველაზე გამორჩეული გოგიჩაიშვილი გუნდიდან დაითხოვა.

ზემოთ ტაქტიკური მრავალფეროვნება (იგივე ფლექსაცია) ვახსენეთ. ახლა კი მის ბოსკამპისეულ მოდელს გადავხედოთ „ზიმბრუსთან“ მატჩში: რატი ალექსიძე – ერთ დროს 18 წლამდელთა ნაკრებისა და „ჩელსის“ ახალგაზრდული გუნდის ფორვარდი, მერე კი შემტევი სტილის ნახევარმცველი ბოსკამპმა განაპირა მცველად გამწესა; ლევან ხომერიკი – მარადჟამს ცენტრალური თავდამსხმელი, უცბად მარჯვენა ნახევარმცველი შეიქნა. ცალკე საუბრის თემაა მიხეილ აშვეთია. როცა ამ ნიჭიერ თავდამსხმელზე ქართული საფეხბურთო სამყარო ალაპარაკდა, ის მხოლოდ და მხოლოდ ტიპურ ბომბარდირად, საჯარიმოს ფორვარდად, დასწრებაზე თამაშისთვის ზედგამოჭრილ ტალანტად ირეკლებოდა და ინათლებოდა ნებისმიერი სპეციალისტის, ჟურნალისტისა თუ გულშემატკივრის მიერ. ბოსკამპმა კი ასეთად დე სოუზა (ეპითეტებს ამ ბრაზილიელზე შეგნებულად არ შემოგთავაზებთ) მიიჩნია, ხოლო აშვეთია, „ზიმბრუსთან“ საპასუხო მატჩში, სულაც მარცხენა ფლანგზე დასწია.

... ვინღა ჩივის „დინამოსთვის“ ხელწერის დაკარგვა-წართმევაზე, როცა ჩვენი სათაყვანებელი ფლაგმანი აგრე რიგად დაჩაჩანაკდა, აგრე რიგად უთავმოყვარეო, დაბალ ღობედ შეიქნა ევროპის მესამეხარისხოვანთათვისაც (უკაცრავად, თუ „ზიმბრუს“ ასი პროცენტით ზუსტი კვალიფიკაცია ვერ მივანიჭეთ). იქნებ იმ „სელექციონერებსაც“ დავეკითხოთ რაიმე, ვინც „დინამოს“ ომახიანად მყვირალა მთავარსარდალი შეურჩია.

დათო თავართქილაძე

FIFA COPA CONFEDERACIONES MEXICO 1999

გოლს გავიგანო, დაიქადნა ბლანკომ, მართლაც გაიგანა და კუთხურის ალამთან ცეკვა დაიწყო...

ტურნირის ფინალის წინ მექსიკელთა ფორვარდი, ორიგინალური დრიბლიორი კვატემოკ ბლანკო საქვეყნოდ იქადნიდა, რომ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს გოლს გაუტანდა. ამ 26 წლის მექსიკელს მართლა აღმოაჩნდა ნათელმხილველის ნიჭი – ბლანკომ გოლიც გაიტანა და დიდი წვლილიც შეიტანა ბრაზილიელთა ძლევაში. ანგარიში მისი ზუსტი და გამოზომილი პასით გახსნა ზებეტამ. მერე ბლანკომ აბუნტასი დააჯილდოვა საგოლე გადაცემით. ტაიმის მიწურულს ბრაზილიელებმა შეძლეს ერთი საპასუხო ბურთის გაქვითვა (სერჟინიო), ხოლო მეორეს დასაწყისში გაათანაბრეს კიდეც ანგარიში (რონი). მექსიკელები არ შედრკნენ და ზებეტამ კვლავ დააწინაურა ისინი.

ამის შემდეგ ტეტრაკამპეონებმა დიდი ძალებით, მედგრად შეუტიეს. რაც კვატემოკ ბლანკოს სულაც არ ეპიტნავა და ნანატრი გოლიც „მიართვა“ მრისხანე მეტოქეს. ეს უკვე გარდამტეხი აღმოჩნდა ფინალური მატჩისთვის, თუმცა, ბრაზილიელთა ლევერკუზენელმა მცველმა ზე რობერტომ პრესტიჟის გოლის გატანა მაინც მოახერხა – 4-3 გაიმარჯვეს მექსიკელებმა. გამარჯვებულთ თასი ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გადასცა.

ბრაზილიელთა თავკაცმა ვანდერლეი ლუსემბურგომ მექსიკელ კოლეგა მანუელ ლაპუენტეს მყისვე მიულოცა გამარჯვება, ხოლო პრესკონფერენციაზე თავი იმით იმართლა, რომ ამ ტურნირზე მისი გუნდი ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. რაც შეეხება ბრაზილიელ ჟურნალისტებს, მათ არ მოისურვეს ღირსეულად გადაეტანათ ეს მარცხი და მუშტ-კრივი გაუმართეს ადგილობრივ კოლეგებს. თავისიანების წარმატებით აღტაცებული ფანები ზღვარს გადავიდნენ და ქალაქის ცხოვრებაში არეულობა შეიტანეს.

მეხიკოში გამოფენილი ხალხი კი დიდხანს, ტემპერამენტიანად ზეიმობდა და ღრეობდა თანამემამულეთა ფიესტას. დიდი და პატარა ყველაზე მეტად კვატემოკ ბლანკოს აღმერთებდა.

მატჩი მესამე ადგილისთვის, *როგორც მოსალოდნელი იყო, არაშთამბეჭდავი და ულაზათო გამოდგა. აშშ-მ ბრაზილიასა და მაკბრაიდის გოლების წყალობით დიდი წვალების გარეშე სძლია საუდელ არაბებს 2-0.*

ბათუმელ ფეხბურთელთა შთამბეჭდავი ნარმატება

ჭაბუკთა შორის გივი ჩოხელის თასის გათამაშებაში დასავლეთ ზონაში 14 გუნდი მონაწილეობდა. საუცხოოდ იასპარეზეს და პირველობა დაისაკუთრეს ბათუმის განათლების განყოფილების აღსაზრდელებმა (მწვრთნელები გია ჯორბენაძე, ედიშერ კაკაბაძე). მეორე ადგილზე გავიდა ზუგდიდის „ლაზიკა“, რომელსაც ორი ქულით გაუსწრეს შავიზღვისპირელმა თანატოლებმა. გამარჯვებულებმა 26 მატჩიდან 21 მოიგეს, 3 ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ 2 წააგეს, გაიტანეს 78 ბურთი, საკუთარ კარში კი 16 გაუშვეს, გუნდის გოლეადორი გახდა მარჯვენა ნახევარმცველი ვიტალი დარჩიძე – 25 გოლი. იგი საქართველოს 18-წლიანების ნაკრები გუნდის კანდიდატია. ქვეუნის 16-წლიან ჭაბუკთა ნაკრების კანდიდატმა, მარჯვენა გარემარბმა ნიკუშა ფურცხვანიძემ კი 15 გოლი გაიტანა, საყრდენმა ნახევარმცველმა მიხეილ ქასრაშვილმა – 13.

სურათზე – დგანან: (მარცხნიდან): ედიშერ კაკაბაძე (მწვრთნელი), კახა ქაცარავა, ოთარ ფეკვაძე, დათო მაჩტაძე, ზაზა ბექანიძე (მწვრთნელები მერაბ ბერიძე, ავთანდილ კუნჭულია), ნიკუშა ფურცხვანიძე, მამუკა სალუქვაძე, ირაკლი ქათამაძე, გიგა ივანიძე, ვიტალი დარჩიძე (მთავარი მწვრთნელი გია ჯორბენაძე); წინა რიგში (მარცხნიდან): ლევან ბეგიაშვილი, ლუქმო გელეგანიძე, დათო ორაგველიძე, მიხეილ ქასრაშვილი, დათო კუჭავა, ოთარ ძნელაძე, დათო ტაკიდი, ავთო რამიშვილი.

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს“ საკ. კორესპონდენტი აჭარაში

მისი სათამაშო კრედო შეტევაა

თუკი ვინმე მსოფლიოს №1 მწვრთნელის არაოფიციალურ წოდებას შემოიღებს, 1998-99 წლების სეზონის შედეგად იგი აუცილებლად „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელ ალექს ფერგიუსონს მიეკუთვნება. მან ხომ სამი უმნიშვნელოვანესი წარმატება მოიპოვა: მისი გუნდი გახდა ინგლისის ჩემპიონი, თასის მფლობელი და დაეუფლა ევროპის ჩემპიონთა თასს. ამისათვის მას დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II რაინდის წოდება მიანიჭა.



ალექს ფერგიუსონი

ალექს ფერგიუსონი დაიბადა 1941 წლის 31 დეკემბერს ქ. გოვანში (შოტლანდია). თამაშობდა „ჰარმონი როუში“, „დრამჩეპულზ ემეტირსში“, „ქუინზ პარკში“, „სენტ-ჯონსონში“, „დამფერმლაინში“, „გლაზგო რეინჯერსში“, „ფალკირკში“ (სადაც მოთამაშემწვრთნელი იყო) და „ეირ იუნაიტედში“. როგორც ვხედავთ, „გლაზგო რეინჯერსის“ გარდა, ეს საკმაოდ უმნიშვნელო კლუბებია. 1974 წლიდან მოყოლებული, პროფესიონალი მწვრთნელია. მუშაობდა „ისტ სტირლინგ ში“ (1974), „სენტ-მირენში“ (1974-78), „აბერდინში“ (1978-86), შოტლანდიის ნაკრებსაც ხელმძღვანელობდა (1986). 1986 წლის ნოემბრიდან „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელია. მისი ხელმძღვანელობით „აბერდინი“ სამჯერ (1980, 1984, 1985) გახდა შოტლანდიის ჩემპიონი, ოთხჯერ (1982, 1983, 1984, 1986) მოიპოვა შოტლანდიის თასი, ერთხელ – თასების მფლობელთა თასი (1983), ევროპის სუპერთასი (1983). „მანჩესტერ იუნაიტედი“ სუთჯერ (1993, 1994, 1996, 1997, 1999) იყო ინგლისის ჩემპიონი, სამჯერ (1990, 1994, 1999) მოიგო ინგლისის თასი, და მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი (1999).

ალექს ფერგიუსონს ესაუბრა ლონდონის ჟურნალ „უორლდ სოკერის“ კორესპონდენტი.

● ***„მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩვეულებრივ ოთხი მცველით თამაშობს. რატომ?***

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სამი მცველით თამაშით მხოლოდ გერმანელებმა მიაღწიეს კარგ შედეგებს. რა თქმა უნდა, 3+5+2 სქემას რამდენიმე დადებითი ასპექტი აქვს. კერძოდ, მაშინ, როცა ფეხბურთელები დაცვის სიღრმიდან შეტევაში ერთვიან ხოლმე. მაგრამ ამისათვის აუცილებელია დიდი, უნაკლო დისციპლინა. მოითხოვს განაპირა ნახევარმცველების უზარმაზარ პასუხისმგებლობას. ყურადღება მიაქციეთ: ბრაზილიისა და საფრანგეთის ნაკრებები, აგრეთვე კლუბები „იუვენტუსი“ და „მილანი“, ოთხი მცველით თამაშობენ. სქემით 4+4+2 ან 4+3+3 დაცვიდან შეტევაზე გადასვლა უკეთესად, მწყობრად ტარდება. მოთამაშეებს შეტევითი მოქმედების მეტი შესაძლებლობები აქვთ. ვფიქრობ, მხოლოდ 4+4+2 იძლევა ზონური დაცვის საუკეთესო საშუალებას.

ახლა ჩვენთან, ინგლისში ბევრმა კლუბმა დაიწყო სამი მცველით თამაში. თუ ჩემპიონატის ბოლო 6 ტურის მიხედვით ვიმსჯელებთ, მხოლოდ „ჩელსიმ“ გამოიყენა ჩვენს წინააღმდეგ ოთხი მცველი. ვთვლი, რომ ცენტრალურმა მცველებმა კარგად უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, როცა მარტონი რჩებიან, თავდამსხმელებს მოუგონ ორთაბრძოლა.

დიდ ყურადღებას ვუთმობ განაპირა ნახევარმცველების თამაშს. საამისოდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ კარგი შესაძლებლობები აქვს. ბეკჰემს გრძელი გადაცემების ხელოვნებით, შეუძლია მთლიანად „მოჭრას“ მეტოქეთა დაცვა. რაიან გიგზს სხვა ამოცანას ვუსახავ: მეტხანს დაიჭიროს ბურთი და ერთი მეტოქე მაინც მოატყუოს. ინგლისში ჩვენი განაპირა ნახევარმცველების წინააღმდეგ მეტოქეები ხშირად იყენებენ ბურთის კოლექტიურ არომევას. მაშინ ჩემს ნახევარმცველებს იგი ცენტრში გადააქვთ, სადაც ოპონენტს კონტრიერიშისათვის უკვე საკმაო ძალები აღარა აქვს.

● ***რა მთავარი ამოცანა გაკისრია, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს?***

– მთავარი ამოცანაა წარმატების მოპოვება. გარდა ამისა, ჩვენგან მუდმივად ლამაზ გამარჯვებებს მოითხოვენ. შეიძლება, როცა იგებ, ნაკლებშთამბეჭდავ თამაშს არც კი მიაქციო ყურადღება. შეიძლება „ჭუჭყიანი“, ულამაზო თამაშითაც მოიგო. მაშინ ხომ ყველაფერი ავიწყდებათ. მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მრავალწლიანი ტრადიციები ფეხბურთელებისაგან ღია, ლამაზ თამაშს მოითხოვენ.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ ახლა სხვადასხვა სფეროში დაახლოებით 380 კაცი ემსახურება. არ შემიძლია ყველა ამ საქმეში ვმონაწილეობდე. ჩემი საქმეა მხოლოდ ფეხბურთი და ჟურნალისტებთან ურთიერთობა.

● ***რა ძირითადი ღირსებები უნდა ჰქონდეს, თქვენი აზრით, კარგ მწვრთნელს?***

– როცა სამწვრთნელო კარიერას ვიწყებდი, მოთამაშეებს ფიზიკურად ვამზადებდი, ტექნიკაზე ვმუშაობდით, იმ ფეხბურთს ვასწავლიდი, რაც მომწონდა. ახლა მათ გუნდური სულისკვეთება უნდა განვუვითარო, უნდა ვასწავლო თამაშში მთელი ძალების ხარჯვა. მატჩის წინ ყოველთვის ვეუბნები ხოლმე მოთამაშეებს, თუ მოგება გვინდა, კარგი ფეხბურთი, სულ მცირე, რვა მოთამაშემ მაინც უნდა აჩვენოს. გამარჯვებისკენ სწრაფვა თამაშის მეტად მნიშვნელოვანი ასპექტია. მეტიც, გასახდელში უნდა შევქმნა სასურველი კლიმატი, რათა მოთამაშეები ერთმანეთს აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. მათ უნდა დავეხმარო ცხოვრებისეული მძიმე მომენტების დაძლევაში. ბევრს ვმუშაობ ჩემი ფეხბურთელების ფსიქოლოგიურად მოსამზადებლად, ვაჩვევ ბოლომდე ბრძოლას. მთავარია, ყველაფრის დათმობა კარგი თამაშისათვის, მატჩის ფსიქოლოგიური მომზადება. თუკი რომელიმე მოთამაშე ჩვენს გუნდს არ გამოადგება, ყოველთვის პირდაპირ ვეუბნები ამის შესახებ. წინა სეზონში „არსენალმა“ გვაჯობა, სამაგიეროდ, ჩვენმა ახალგაზრდობამ მნიშვნელოვანი „მწარე“ გამოცდილება მოიპოვა. აქამდე ხომ არ იცოდნენ, რა იყო დამარცხება, ამ მარცხმა კი სათანადო როლი შეასრულა. წაგებების პატარა წყება შეიძლება ხანგრძლივი გამარჯვებების სერიაში გადაიზარდოს.

ბარსელონა. 26.5.1999 წ. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის თასით

ვფიქრობ, ყველა მწვრთნელის მთავარი ამოცანაა ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენა და აღზრდა. ბევრმა იცის, რა უნდა გააკეთოს, მაგრამ ყველას როდი შეუძლია, ძნელი, რთული გადაწყვეტილებების მიღება. ავიღოთ, მაგალითად, დუაიტ იორკი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მას შეუძლია „მანჩესტერ იუნაიტედს“ დიდი სარგებლობა მოუტანოს და გადავწყვიტე მეყიდა კიდეც. ვფიქრობ მთელი ასი პროცენტით მართალი გამოვდექი.

● ***რას იტყვით ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ახალ სისტემაზე?***

– საერთოდ, ინგლისური კლუბებისათვის ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება, როგორც მას გასულ სეზონში ჰქონდა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ახლა, მით უმეტეს, ეს მიუღწეველია. საერთაშორისო და შინა კალენდარი უადრესად გადატვირთულია, მოთამაშეები მეტისმეტად ბევრ მატჩს ატარებენ. სეზონის შუაგულში გვჭირდება შესვენება. გარდა ამისა, კალენდრიდან რამდენიმე ამხანაგური მატჩიც უნდა ამოვიღოთ.

● ***იმ დროს, როცა მდიდარი კლუბების უმეტესობა მოთამაშეების ყიდვას ამჯობინებს, თქვენ საკუთარი კადრების აღზრდით ხართ დაკავებული...***

– წინა წლებში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ რამდენიმე დიდი ოსტატი იყიდა. გაიხსენეთ ბრაიან რობსონი ან ერიკ კანტონა. ისე კი, ჩვენც გვყავდა საკუთარი ვარსკვლავები, მაგალითად ბობი ჩარლტონი, ჯორჯ ბესტი, დანკან ედვარდსი და შესანიშნავი მოთამაშეების ახალი თაობა: ბეკჰემი, გიგზი, სქოულზი. ვთვლი, რომ საკუთარი ნიჭიერი მოთამაშეები უნდა აღვზარდოთ, სწორედ ისინია გუნდის სული და გული.

● ***როგორ უყურებთ საერთაშორისო ფეხბურთის მომავალს?***

– საბოლოოდ იგი ორ კატეგორიად იყოფა: მსოფლიო ჩემპიონატად და ჩემპიონთა ლიგად.

● ***რას იტყვით ლეგიონერების შესახებ? რა გავლენას ახდენს ისინი თქვენი თამაშის სტილზე?***

– მაგალითად, ავიღოთ ერიკ კანტონა. მან კლუბში საკუთარი ეთიკა მოიტანა. ვარჯიშის შემდეგ თავისი სურვილით რჩებოდა მინდორზე, ტექნიკას ხვეწდა. მას ახალგაზრდა მოთამაშეებმა მიბაძეს, ამან კი დიდი სარგებლობა მოგვიტანა.

როცა ერიკს რაიმე პრობლემები შეექმნებოდა ხოლმე, ყოველთვის ვეხმარებოდი. ვთვლი, რომ მოთამაშეებს უნდა სჯეროდეთ თავიანთი მწვრთნელისა, ენდობოდნენ მას. არასდროს საჯაროდ არ ვაკრიტიკებ ჩემს მოთამაშეებს. როცა ფეხბურთელს რადაც უნდა შევასმინო, ერთი-ერთზე ვესაუბრები. ვთვლი, რომ ურთიერთნდობა მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის წმინდა რამ არის.

● ***როგორ უყურებთ სუპერვარსკვლავების ახალ თაობას?***

– სუპერვარსკვლავებს ჩვეულებრივ საკუთარ თავზე გადაჭარბებული შეხედულება აქვთ. ფულს ყველაფრის შეცვლა შეუძლია. რაც შეეხება ჩემი საუკეთესო მოთამაშეების მენტალიტეტს, მათი დიდი ხელფასის მიუხედავად, იგი უცვლელი რჩება. ბევრი ხომ, როცა მდიდრდება, ამბიციური ხდება. ბუნებრივი ენერგიით დაჯილდოებული ადამიანი ვარ, არასოდეს ვკმაყოფილდები მიღწეულით და ყოველთვის მეტის გაკეთებას ვცდილობ.

● ***რა არ მოგწონთ თანამედროვე ფეხბურთში?***

– ვერ ვიტან, როცა ფეხბურთელები მინდორზე სიმულირებენ. ისინი ცდილობენ მსაჯს საჯარიმო დარტყმა ან რომელიმე ფერის ბარათი გამოსტყუონ. ბევრი ფეხბურთელისათვის ეს ჩვეად იქცა. ეს უღირსი საქმეა, ჩემს მოთამაშეებს ამას ვუკრძალავ. ვფიქრობ, ასეთი საქციელისათვის ფეხბურთელი მინდვრიდან უნდა გააძევონ.

● ***ძალიან იღბლიანი მწვრთნელი ხართ, რაც უკვე მეორე ათეული წელი გრძელდება. დრომ თქვენი სათამაშო ფილოსოფია ხომ არ შეცვალა?***

– თამაშის ჩემეული გაგება წლებს არ შეუცვლია. გუნდები, რომლებსაც ვწვრთნიდი, ყოველთვის სანახაობრივ, შემტევ ფეხბურთს თამაშობდნენ. მოთამაშეები შემართებული, თავის ძალებში დარწმუნებული იყვნენ, მათ მხოლოდ ერთი რამ – გამარჯვება სურდათ. აი, სწორედ ეს არის ჩემი სათამაშო ფილოსოფია. უკვე 25 წელია მწვრთნელად ვმუშაობ და ყოველთვის ერთი რამ მსურდა – მოთამაშეებს მინდორზე განეხორციელებინათ ჩემი იდეები.

გნებავთ შეიტყოთ ჩემი გადადგომისა და იმის შესახებ, თუ შემდეგ რას გავაკეთებ? ეს მეტად რთული საკითხი გახლავთ. შესაძლოა კარიერა მაშინ დავასრულო, 60 წელს რომ გადავაბიჯებ. თუმცა, ეს ხომ ჯერ ფაქტი არაა.

ინგლისის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ მანჩესტერელებმა ქვეყნის თასი მოიპოვეს

მოამზადა
ბივი თორელმა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ანელკას საკითხი გადაწყდა

ნიკოლა ანელკა

20 წლის ფრანგ თავდამსმელ ნიკოლა ანელკას საკითხი, ბოლოს და ბოლოს, გადაწყდა. მასთან მოლაპარაკებას ერთბაშად სამი კლუბი აწარმოებდა: „ლაციო“, „იუვენტუსი“ და მადრიდის „რეალი“. „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი ამ მოლაპარაკებებმა მეტად გაანერვიულა. ჯერ იყო, უეფას მიმართა განცხადებით, რომ „რეალი“ მის ფეხბურთელს ყოველგვარი წესების დარღვევით იბირებდა. ბოლოს ვენგერმა თვით ანელკაზეც თქვა, რომ მეტად უკმაყოფილოა მისი საქციელით და კლუბში რომ დარჩეს, მაინც არ ვათამაშებო.

სამშაბათს, ბოლოს და ბოლოს, ანელკას საკითხი მაინც გადაწყდა. იგი 35 მილიონ დოლარად შეიძინა „რეალმა“, რაც ამ კლუბისგან გადახდილი სარეკორდო თანხა გახლავთ. კონტრაქტი ფრანგ ფეხბურთელთან შეიდწლიანია.

55 მილიონი დოლარი

ფლორენციის „ფიორენტინამ“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ სარეკორდო თანხა – 55 მილიონი დოლარი შესთავაზა ნახევარმცველ დევიდ ბეკჰემში, მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ამ წინადადებას „ავანტურისტული“ უწოდა, მაგრამ მოლაპარაკება მაინც დაიწყო.

„თუ ბეკჰემი ჩვენთან გადმოვიდა, – განაცხადა გაბრიელ ბატისტუტამ, – 20 გოლის ნაცვლად, რომელიც საშუალოდ იტალიის ჩემპიონატებში გამქონდა, ახლა ორჯერ მეტს, 40 გოლს გავიტან“.

პელემდე და მარადონამდე ჯერ ვერ აღწევენ

სამხრეთამერიკელმა ჟურნალისტებმა გამოკითხვის შედეგად შეადგინეს კონტინენტის ყველა დროის ნაკრები. თანამედროვე ფეხბურთელთაგან მასში მხოლოდ რომარიო და ჩილავერტი მოხვდნენ. ამ ნაკრებში ისეთი ოსტატებისთვისაც კი არ აღმოჩნდა ადგილი, როგორიც რონალდო და რივალდო არიან.

აი, ეს ყველა დროის სამხრეთ ამერიკის ნაკრებიც: მეკარე ჩილავერტი (პარაგვაი), მცველები – პასარელა (არგენტინა), კარლოს ალბერტო (ბრაზილია), პერფიუმო (არგენტინა), ფიეროა (ჩილე), შუა ხაზი – ზიკო (ბრაზილია) და ფრანჩესკოლი (ურუგვაი), თავდასხმა – გარინჩა (ბრაზილია), მარადონა (არგენტინა), პელე (ბრაზილია), რომარიო (ბრაზილია).

ანდრადინა „სპარტაკში“?

ჩემპიონთა ლიგის მონაწილე კლუბები ცდილობენ თავიანთი შემადგენლობის მაქსიმალურად გაძლიერებას. მოსკოვის „სპარტაკი“ კალინინგრადის „ბალტიკიდან“ აპირებდა თავდამსხმელ მაქსიმ შაკიხის (რომელიც უზბეკეთის მოქალაქეა) გადაბირებას, მაგრამ კიევის „დინამომ“ დაასწრო და ეს ფეხბურთელი უკვე უკრაინის დედაქალაქში თამაშობს.

ახლა „სპარტაკი“ ეცდება ტულის „არსენალის“ დიდად შედეგიანი თავდამსმელის, ანდრადინას ყიდვას. ბრაზილიელს ტულიდან არსად წასვლა არა სურს.

ოყროშიძე „ლოკომოტივში“ გადავა

ცნობილი მეკარე იური ოყროშიძე, რომელიც ახლა პაველ სადირინთან ყაზანის „რუბინში“ გამოდის და მეტად საიმედო თამაშით გამოირჩევა (მას პირველ დივიზიონში 80-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული გოლის გაუშვებლად), ამ კლუბში დარჩენას აღარ აპირებს. უკვე მოწერილია ხელი: 29 წლის მეკარე 1 დეკემბერს მოსკოვის „ლოკომოტივში“ ჩაირიცხება, სადაც იგი შეცვლის რუსლან ნიგმატულინს (რომელსაც უცხოეთის რამდენიმე კოლექტივი ეპატიჟება).

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

სნორედ ის ივანაუსკასი

ვალდას ივანაუსკასი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამოდიოდა, ახლა 33 წლისაა. იგი ხომ შედეგიანი თავდამსხმელი იყო და წარმატებით თამაშობდა გენის „აუსტრიაში", „ჰამბურგერ შპორტფერაინში", „ზალცბურგსა" და „სანტ-ჰელტენში".

ახლა ივანაუსკასმა, რომელიც ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩადგა, ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ავსტრიის „ვილ-ჰელმსჰაფენთან".

ჯერჯერობით რებროვს ინარჩუნებენ

ჯერჯერობით შედეგი არ მოიტანა ათენის „პანათინაიკოსისა" და კიევის „დინამოს" მოლაპარაკებამ უკრაინის ნაკრების თავდამსხმელ სერგეი რებროვის ტრანსფერის შესახებ. საქმე ის არის, რომ კიეველებს 20 მილიონი დოლარის მილების იმედი აქვთ, ბერძნები კი თანხმანი არიან 7-8 მილიონი გაიღონ. ისე, რომ...

4 ნლის „ტენერიფეში"

26 წლის რუსი თავდამსხმელი იგორ სიმუტენკოვი, რომელიც უკანასკნელ სეზონში „ბოლონიაში" გამოდიოდა, ახლა ტოვებს იტალიას და ესპანეთის „ტენერიფეში" გადადის. „ტენერიფესთან", რომელმაც წელს დატოვა უმაღლესი ლიგა, რუსმა ფეხბურთელმა 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. კლუბს სათავეში ჩაუდგა იტალიიდან მიწვეული მაურო სანდრეანი კონკრეტული ამოცანით — კვლავ მოიპოვოს ადგილი უმაღლეს ლიგაში.

არც კუჩერევსკი, არც იაკოვენკო

ოდესლაც განთქმული დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" აშკარა კრიზისს განიცდის. ამის გამო კლუბი დატოვა ლეონიდ კოლტუნმა, მაგრამ მის ნაცვლად არც ვეგენი კუჩერევსკი და არც პაველ იაკოვენკო არ მოუწვევიათ, რომლებზედაც ბევრი ლაპარაკი იყო.

ახალ მწვრთნელ ნიკოლაი ფედორენკოს კი გამოსაცდელი დრო მიეცა — პირველი წრის ბოლომდე გამოასწოროს მდგომარეობა.

სად დაიკარგა კანიშჩევი?

როგორც ვლადიკავკაზის „ალანიას" მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა განაცხადა, მისი გუნდიდან უკვალოდ გაქრა თავდამსხმელი ანატოლი კანიშჩევი. ამასთან, არავინ იცის, სად არის იგი. როგორც გაზაევმა განაცხადა, მას მოთმინების ფიალა ავევსო და თუ კანიშჩევი ამ დღეებში არ გამოჩნდება, მაშინ „ალანია" რუსეთის ფეხბურთის ფედერაციას ამ ფეხბურთელის დისკვალიფიკაციას მოსთხოვს.

„ურუგვაული ფეხბურთის აღორძინება"

როგორც ამასწინანდელ „Copa America"-ზე მონაწილე ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა ვიქტორ პუამ განაცხადა, ახლა დაიწყება „ურუგვაული ფეხბურთის აღორძინება". დიახ, მის გუნდს აკლდა გუსტავო პოიეტი, ალვარო რეკობა, პაოლო მონტერო, მაგრამ ბრწყინვალედ წარმართა მთელი შეჯიბრება.

— არა უშავს, რომ ჩემს ახალგაზრდა ფეხბურთელებს საერთაშორისო ტურნირებზე თამაშის სერიოზული გამოცდილება არა აქვთ. სამაგიეროდ, მათი საბრძოლო სულისკვეთება ძალიან მაღალია და ნებისმიერ მეტოქეს გაუწევენ შეუპოვარ წინააღმდეგობას.

XX საუკუნის გერმანული კოპორტა

ფრანც ბეკენბაუერი

ფრანც ბეკენბაუერი ტელეარხ ARD-ს და ჟურნალ „კიკერის" გამოკითხვის შედეგად გერმანიის „ასწლეულის" საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. ამავე გამოკითხვით გამოვლინდა საუკუნის სიმბოლური ნაკრები. ზეპ მაიერი, ბერტი ფოგ[illegible], ფრანც ბეკენბაუერი, [illegible]ერგენ კოლერი, ლოთარ მათეუსი, გიუნტერ ნეცერი, ფრიც ვალტერი, მათიას ზამერი, იურგინ კლინსმანი, უვე ზეელერი და გერდ მიულერი.

ჰოჯსონი შვეიცარიას დაუბრუნდა

როი ჰოჯსონი

ცნობილი ინგლისელი მწვრთნელი როი ჰოჯსონი შვეიცარიული „გრასჰოპერის" თავკაცი გახდა. ეს სპეციალისტი ადრეც მუშაობდა ამ ქვეყანაში და საკმაოდ წარმატებითაც. 1990-92 წლებში „ქსამაქსს" ედგა სათავეში, მერე კი შვეიცარიის ეროვნული გუნდი ჩაიბარა. მისი შემწეობით შვეიცარიელებმა ჯერ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის საგზური მოიპოვეს, შემდეგ 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის.

ჰოჯსონმა სამშობლოში მუშაობითაც გაითქვა სახელი, როცა პროვინციული და მანამდე არაამბიციური „ბექბერნ როვერსი" ინგლისის ჩემპიონი გახადა (1996 წ.). აი მილანის „ინტერში" კი დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია.

მრისხანე „მაჯადორის" მემკვიდრეა... „რწყილი"

გასული სეზონი არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა ისე შთამბეჭდავად ჩაატარა, რომ თვით გაბრიელ ბატისტუტას, როგორც არგენტინის ნაკრების ნომერ პირველი ფორვარდის, რეპუტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა.

... ლეგენდარულმა მარიო კემპესმა ესპანეთის „ვალენსიის" დიდების დარბაზში დაიმკვიდრა ადგილი — 1976-დან 1984 წლამდე თამაშისას მან ამ კლუბში 184 მატჩი ჩაატარა და 116 გოლი გაიტანა. ახლა კი „ვალენსიაში" კიდევ ერთი არგენტინელი ფორვარდი გამოდის, რომელსაც სავსებით ხელეწიფება გაეჯიბროს პოპულარობაში ლეგენდარულ თანამემამულეს. კლაუდიო ლოპესს მართლაც რომ ბევრი საერთო აქვს მარიო კემპესთან. ისიც, კემპესის დარად, ივლისშია დაბადებული (17.07.1974), თანაც იმავე რეგიონში (კორდობა) და კემპესივით 22 წლისამ „ვალენსიას" მაისური ჩაიცვა.

კლაუდიო ლოპესმა (მარჯვნივ) გოლი გაიტანა. მისალოცად მიიჩქარის ჟოსლენ ანგლომა

მაგრამ, კემპესისაგან განსხვავებით, ლოპესის „ვალენსიაში" გადასვლას არანაირი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია, უველაფერი შეუმჩნევლად, მშვიდად მოხდა და თიკუნიც, რომელიც კლაუდიო ლოპესს ხვდა წილად, სულაც არ უწინასწარმეტყველებდა მას დიდ მომავალს. თუ კემპესი მრისხანე „მატადორი" იყო, ლოპესი მხოლოდ EL Piojo (პიოხო) გახლავთ, რაც ჩვენებურად რწყილს ნიშნავს. კლაუდიოს ეს მეტსახელი ჯერ კიდევ მაშინ შეარქვეს, სანამ პროფესიონალურ ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს გადადგამდა.

კლაუდიო ლოპესის „ვალენსიაში" მისვლისას (მისი ყოფილი კლუბია რესინგის „ესტუდიანტესი") გუნდს ლუის არაგონესი წვრთნიდა, მაგრამ სამი თვის შემდეგ ეს მწვრთნელი მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონმა, არგენტინელმა ხორხე ვალდანომ შეცვალა. ამ სპეციალისტმა „ვალენსიას" მყისვე შეაძენინა არიელ ორტეგა. რომლისგანაც გუნდის ლიდერი უნდა „გამოეთალა"; კლაუდიო ლოპესი, ნომინალური ფორვარდი კი ნახევარდაცვის ფლანგზე გაამწესა. ასეთმა ექსპერიმენტმა „რწყილზე" უარყოფითად იმოქმედა — სეზონში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა. მისთვის უველაფერი მაშინ შეიცვალა, როცა „ვალენსიას" თავკაცად იტალიელი სპეციალისტი, კლაუდიო რანიერი მოევლინა. როგორც ჭეშმარიტმა აპენინელმა, მან „ვალენსიას" თამაში სწრაფ კონტრშეტევებზე ააგო, რისთვისაც „პიოხო" ზედგამოჭრილია — კლაუდიო ლოპესი ხომ ესპანეთის პრემიერა-დივიზიონის უსწრაფეს მოთამაშედაა მიჩნეული.

1997-98 წ.წ. სეზონში „რწყილი" უკვე „ვალენსიას" წამყვან მოთამაშედ იქცა. რაც, რა თქმა უნდა, არგენტინის ეროვნული ნაკრების თავკაც დანიელ პასარელას არ გამორჩენია. „პიოხოს" პროგრესი აშკარა იყო და პასარელამაც გაბრიელ ბატისტუტას შეუწყვილა იგი საფრანგეთი-98-ზე. ნაკრების დონეზე წარმატებულმა თამაშმა კლაუდიო ლოპესის რეპუტაცია ერთობ გაზარდა — ის უკვე ექსტრა-კლასის ფორვარდად ჩამოყალიბდა და სეზონში ნამდვილი ფურორიც მოახდინა. მისი და რაინერის წყალობით „ვალენსია" საშუალო დონის გუნდიდან ესპანეთის მოწინავე კლუბად იქცა და ქვეყნის თასის ბოლო გათამაშებაში რომ გაიმარჯვა, სავსებით ლოგიკურად აღიქვეს ესპანეთის საფეხბურთო წრეებში. ამ ტურნირში „რწყილი" განსაკუთრებით მრისხანე „ბარსელონას" მეტად მწარედ „კბენდა" — რომ მეოთხედფინალურ მატჩში მან ოთხი გოლი გაუტანა კატალონიელებს.

კლაუდიო ლოპესის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა შორის მარიო კემპესიც გახლავთ: „კლაუდიო უფრო სწრაფია, ვიდრე მე, ჩემს საუკეთესო წლებში და მეტოქის კარის სიახლოვესაც ის უფრო თავდაჯერებულად, მიზანდასახულად მოქმედებს. გარდა ამისა, ლოპესი ბრწყინვალე ასისტენტია და მინდვრის სიღრმიდანაც ძალუძს აჩვენოს თავისი ძალა".

ახლა აშკარაა, რომ „პიოხოთი" დიდად არიან დაინტერესებულნი ელიტარული კლუბები. „ვალენსიას" პრეზიდენტი კორტერი კი უველა ღონეს ხმარობს მის შესანარჩუნებლად და დასძენს: „გვსურს ის კიდევ რამდენიმე წელი დარჩეს „ვალენსიაში", მაგრამ კარგად გვესმის, რომ ამისთვის ბრძოლა გვმართებს". „ვალენსიას" ხელმძღვანელობამ მართლაც გაქნილად და პროდუქტიულად იმოქმედა — „იუვენტუსი", „ფიორენტინა" და „ინტერი" „რწყილისათვის" 14 მილიონ გირვანქა-სტერლინგს არ იშურებდნენ (ასეთია დღეს „პიოხას" საბაზრო ფასი). გადამწყვეტი სიტყვა კი თვით ფეხბურთელზე იყო, რომელმაც რატომღაც, ლეგენდარულ კემპესთან ვალენსიური გაჯიბრება ამჯობინა.

ჯეფ კინგი,
("World Soccer")

შუკერი – „არსენალში"

დავორ შუკერი

საფრანგეთ 98-ის საუკეთესო ბომბარდირი, 31 წლის დავორ შუკერი ბოლო ორ სეზონში ვერა და ვერ იჯავშნიდა ადგილს მადრიდის „რეალის" ძირითად შემადგენლობაში. ჰოდა, გასული სეზონის დამთავრებისთანავე მტკიცედ გადაწყვიტა სამეფო კლუბის დატოვება. მის ამ გადაწყვეტილებას რამდენიმე ცნობილ კლუბთან ერთად ლონდონის „არსენალიც" გამოეხმაურა და 5,67 მილიონი დოლარიც ჩაუთვალა „რეალს" ხორვატი ფორვარდის გადმობირებისთვის.

იური სიომინის „ძნელად აღსაზრდელი ბიჭები"

მოსკოვის „ლოკომოტივს" რუსეთის ჩემპიონატში საქმეები კარგად აქვს, იგი მხოლოდ „სპარტაკს" თუ ჩამოუვარდება. ამის მიუხედავად, მწვრთნელი იური სიომინი თვლის, რომ თავსატეხი არ აკლია. იგი, სხვებთან ერთად, ორ „ძნელად აღსაზრდელ ბიჭსაც" ასახელებს.

● *ამბობენ, რომ შეიძლება ნიგმატულინმა ნებისმიერ მომენტში დატოვოთ?*

— ეს სწორია, თუმცა რაიმე კონკრეტულზე ლაპარაკი ძნელია.

● *შემცვლელი გყავთ, თუნდაც საკარაუდო?*

— ჯერჯერობით, არა.

● *ნიგმატულინი, ფაქტობრივად, იხსენით დეპრესიისაგან. მან ხომ მკაცრი სპარტაკული სკოლა არც ისე მარჯვედ გაიარა. როგორ ფიქრობთ, რას განიცდის ახლა?*

— ძნელი სათქმელია. ისე კი, ჩვენს გუნდში მყარად ჩადგა.

კარგად მივიღეთ, პატივს ვცემდით. აქ გაიხსნა მისი შესაძლებლობები, რწმენა დაუბრუნდა. შეიძლება ითქვას, გამოცოცხლდა.

● *შეიძლება ითქვას, რუსლანს სითბო არ მოაკლეთ. შეუძლია ახლა, ასეთ სპასუხისმგებლო მომენტში მიგატოვოთ?*

— ძალიან უნდა პირველხარისხოვან ევროპულ კლუბში თამაში. ამაზე ხომ ყველა ფეხბურთელი ოცნებობს. ამავე დროს, ძალზე დაუკავშირდა ჩვენს კლუბს, წასვლაც უმძიმს. მაგრამ მესმის მისი, თუ წასვლა დააპირა, ხელს არ შევუშლი.

● *ჯანაშიას შესახებაც გვითხარით. იგი, ეტყობა ძალზე „ძნელად აღსაზრდელი ბიჭია".*

— და თანაც როგორი. დასაწყისში მასთან მიდგომა, საერთოდ, შეუძლებელი იყო. უმართავი ადამიანია. ერთი კი კარგი აქვს: ძალზე აზარტულია და ფეხბურთი უყვარს.

● *„მაკაბისთან" მატჩამდე ბევრი კონფლიქტი გქონდათ ურჩ ზაზასთან?*

— მქონდა, როგორ არა, მას ძალზე ცხელი სისხლი აქვს. მაგრამ ბოლო თვეებში, შეიცვალა. პირდაპირ ვთქვათ, უკეთესი გახდა, უფრო ორგანიზებული. სპორტი ხომ პირადი დისციპლინის თვალსაზრისით ძალზე სასარგებლო რამ არის.

შეტევაზეა ჯანაშია

მთავარი მაინც ეროვნული ჩემპიონატია

დონეცკის „შახტიორი", რომელსაც ანატოლი ბიშოვეცი წვრთნის, უეფას თასზე 12 აგვისტოს კი არა, როგორც ეს ადრე იყო დანიშნული, არამედ 10 აგვისტოს ჩაებმება. მას ანგარიში გაუწია მეტოქემ მაკედონიის „სილექსმა" და დათანხმდა მატჩის გადატანაზე.

„შახტიორის" თხოვნა იმ აუცილებლობით იყო გამოწვეული, რომ დამატებითი დასასვენებელი დღეები ჰქონდეს უკრაინის პირველობაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ. იგი 15 აგვისტოს დონეცკში მთავარ მეტოქეს, კიევის „დინამოს" იღებს.

ალისა გალიამოვა

ვაგჩი მსოფლიო პირველობაზე

სიუ ჟუნი — ალისა გალიამოვა

სიუ ჟუნი

დაწინაურდა ჩინელი მოჭადრაკე

ყაზანში გრძელდება მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სიუ ჟუნსა (ჩინეთი) და რუსეთის უძლიერეს დიდოსტატ ალისა გალიამოვას შორის. მეოთხე პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ მონაწილეებს დასვენების დღე ჰქონდათ.

მეხუთე პარტიაში გალიამოვა თეთრებით თამაშობდა. ინიციატივას სიუ ჟუნი დაეუფლა და 61-ე სვლაზე მოიგო კიდეც.

ამრიგად, 5 პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 3:2 ჩინელი მოჭადრაკის სასარგებლოდ. მეტოქეებმა ყაზანში კიდევ 3 პარტია უნდა ითამაშონ, რის შემდეგ ბრძოლა ქ. შენიანში (ჩინეთი) გაგრძელდება.

მატჩს, როგორც საგაპელაციო ჟიურის წევრი, ესწრება მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

მსოფლიო პირველობა ვაჟთა შორის

პირველი წრე ლას-ვეგასში

მსოფლიო პრველობის პირველ წრეს ლას-ვეგასში რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მოუტანია. თუმცა, ზოგ მატჩს გამარჯვებულის გამოსავლენად ორის ნაცვლად 5-6 პარტიის თამაშიც კი დასჭირდა.

მაია ჩიბურდანიძეს, როგორც ვიუწყებოდით, მეტად ძლიერი მეტოქე შეხვდა — ვლადიმირ აკოფიანი. მაიამ წააგო პირველი პარტია, მეორე ყაიმით დაასრულა და გამოეთიშა შეჯიბრებას.

მთელი 6 პარტია დასჭირდა სერგეი ტივიაკოვისა (რუსეთი) და დმიტრი გურევიჩს (აშშ) შორის გამარჯვებულის გამოვლენას. ანგარიშით 3,5:2,5 გაიმარჯვა ტივიაკოვმა. ალექსეი დრეევმა (რუსეთი) მოუგო ხორვატ რობერტ ეელიჩს, სერგეი დოლმატოვმა (რუსეთი) — პაველ კოცურს (ყაზახეთი). ალექსანდრ ხალიფმანს (რუსეთი) 4 პარტია დასჭირდა ინდიელ დიბენდ ბარუასთან. ორი ძირითადი პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 1:1, მესამე ყაიმით დასრულდა, მეოთხე კი ხალიფმანმა მოიგო.

აი, სხვა შედეგებიც: კარენ ასრიანი (სომხეთი) — ანდრეს როდრიგესი (ურუგვაი) — 1,5:0,5 ჰენეს სტეფანსონი (ირლანდია) — ალექსანდრ ზუბარიოვი (უკრაინა) — 2,5:1,5 ალექსეი ერმოლინსკი (აშშ) — კევინ სპრაგეტი (კანადა) — 1,5:0,5, პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია) — ჯოელ ბენჟამინი (აშშ) — 2,5:1,5, ტალ შაკედი (აშშ) — ვლასტიმილ ბაბულა (ჩეხეთი) — 1,5:0,5, ლევ ფსახისი (ისრაელი) — ალონსო საპატა (კოლუმბია) — 1,5:0,5, ენტონი მაილსი (ინგლისი) — რალფ ოკესონი (შვეცია) — 1,5:0,5.

ფორმულა-1 მიხაელი იფიქრებს პენსიაზე?

ბრიტანეთის გაზეთის გულახდილობის ტრადიციულ სვეტში გამოქვეყნებულ მასალაში, ფორმულა-1 მსოფლიო ჩემპიონატის ავსტრიის ეტაპის შედეგად დაწინაურებულ ირლანდიელ მრბოლი ედი ირვინი („ფერარი") მეგობრულ რჩევას აძლევს მსოფლიო ორგზის ჩემპიონს მიხაელ შუმახერს, რომელიც ფეხის მძიმე ტრავმის გამო გამოეთიშა ასპარეზობას, გამოჯანმრთელების შემდეგ ნუღარ გააგრძელებს კარიერას. „მე რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვიყო, იმდენი ფული მქონოდა, რამდენიც მას აქვს, აგრეთვე ცოლშვილის პატრონი ვყოფილიყავი, არავითარ შემთხვევაში არ დავუბრუნდებოდი რბოლას! ეფიქრობ, ღირს, მიხაელმა კარიერის დამთავრებაზე იფიქროს, ვინაიდან სათუოა, რომ ასეთი ტრავმის შემდეგ კვლავინდებური განწყობით გამოვიდეს იგი სტარტზე". ამით, ედიმ, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ აგრძნობინა თანაგუნდელს, რომ ადგილი, რომელიც შუმახერის არყოფნით განთავისუფლდა, სულაც არ არის სავაკანსიო, რამდენადაც მას უკვე თვით ირვინი დაეპატრონა.

ჩაწერეთ ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები საქართველოდან



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

რა ხდება ქვეყანაზე

პოლიციელები — პასუხისგებაში

ორი დიდი ჩინოსანი პოლიციელი, რომლებიც 1989 წელს შეფილდის „ჰილსბროს" სტადიონზე უსაფრთხოებაზე იყვნენ პასუხისმგებელები, სასამართლოს წინაშე წარსდგებიან ბრალდებით გაუთვალისწინებელი მკვლელობისა და სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ იგნორირებისათვის. ათი წლის წინათ, ინგლისის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩის „ლივერპულსა" და „ნოტინგემ ფორესტს" შორის მსვლელობისას „ჰილსბროს" ტრიბუნებზე ჭყლეტვის შედეგად დაიღუპა 90 ფანატი. მათი ნათესავები დაჟინებით მოითხოვდნენ დამნაშავეთა სამართალში მიცემას. ამას წინათ ლიდსის ქალაქის მოსამართლემ დაადგინა, რომ პოლიციის უფროსი ინსპექტორი დევიდ დეკენფილდი და ინსპექტორი ბერნარდ მიურეი უნდა წარსდგნენ სასამართლოს წინაშე. მათი საქმის მოსმენა დაიწყება 26 აგვისტოს. ეს იქნება პირველი სისხლის სამართლის საქმე ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში.

* **

აი, მოსკოვის „სპარტაკის" განებივრებულმა ფანატებმა კი იაროსლავლის სტადიონზე ვერ გაილაღეს. მათი პირველივე ცდა თავიანთი გუნდის გოლი — ტრიბუნებზე დანთებული ჩირაღდნებით ეზეიმათ — წესრიგის დამცველებმა ძირშივე აღკვეთეს, როცა ხელკეტებით „გაისეირნეს" ფანატთა თავებზე.

„სპარტაკელებს" სათანადო მიუგეს მატჩის შემდეგაც და სარკინიგზო სადგურამდე ქალაქის მაგისტრალური ქუჩით სტუმრები ბადრაგით მიაცილეს.


ვიქტორ პონედელნიკი

ვიქტორ პონედელნიკი: „მთელ მსოფლიოში არის ბრძოლის სისტემა წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ"...

ჯერაც არ ჩამცხრალა ვნებათაღელვა ვლადიკავკაზში მომხდარი ინციდენტის გამო, სადაც რუსეთის პირველობის მორიგ მატჩში ადგილობრივ „ალანიასა" და ვოლგოგრადის „როტორს" შორის მეორე ტაიმის შუაში შეწყდა თამაში იმის გამო, რომ მსაჯობით უკმაყოფილო სტუმრებმა დატოვეს მინდორი...

ამ უპრეცედენტო შემთხვევის კომენტარი სთხოვეს წარსულში სსრ კავშირის ნაკრების ფორვარდს, შემდეგ ცნობილ საფეხბურთო მიმომხილველს ვიქტორ პონედელნიკს: — ვისურვებდი, რაც ვლადიკავკაზში მოხდა, უკვალოდ არ ჩაიაროს, მარტო მატჩის მსაჯების, ფეხბურთელებისთვის და „ალანია"-„როტორის" მწვრნელებისათვის კი არა, არამედ საერთოდ ჩვენი ფეხბურთისათვის. თავის დროზე, როგორც რუსეთის ფეხბურთის ხელმძღვანელის პოსტის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, კოლეგებთან ერთად გავითვალისწინე ჩვენი მსაჯობის ნეგატიური მოვლენების საწინააღმდეგო ბრძოლის გარანტიები, რაც აღკვეთდა ე.წ. „ჩაწყობილ" თამაშებს. და ამის გაკეთება არც თუ ისე ძნელი იქნებოდა, როგორც ეს რუსეთის ფეხბურთის დღევანდელ ხელმძღვანელებს წარმოუდგენიათ. ამისათვის უნდა მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს, როგორც აკეთებენ ამას საფრანგეთში, იტალიაში, იუგოსლავიაში, პოლონეთში... მანამდე კი ყოველგვარი ლაპარაკი ფეხბურთში ნეგატიური მოვლენების შესახებ სამზარეულოს ჭორებს არ სცილდება: მორიგი თათბირი ამ თემაზე, საგაზეთო პოლემიკა არავითარ პოზიტიურ ცვლილებებამდე არ მიგვიყვანს. მთელ მსოფლიოში არსებობს ფეხბურთში სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა. ჩვენში კი, მას არც ახსენებენ, თუნდაც, პროფესიულ ლიგასა და ფეხბურთის კავშირში თანამშრომლობს ხალხი, რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს სამართალდამცავ ორგანოებთან. რომელიმემ რომ ითავოს, სიტყვით კი არა, საქმით, დარწმუნებული ვარ, ვიღაცას ხელში სწვდებიან და აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეს. ვფიქრობ, ამის შემდეგ ნაკლებად იქნებიან იოლი შემოსავლის მსურველები.

ხსოვნა ოთარ ბაკურიძე

ოთარ ბაკურიძე ხვალ 29 წლისა გახდებოდა, ცოტა ხნის წინათ, ამ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე ტრაგიკულად შეწყდა; შეწყდა სიყვარული, სიხარული, ოცნებები...

დაიბადა 1970 წლის 7 აგვისტოს ბათუმში. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვარჯიში 1979 წელს დაიწყო ბიძაშვილის, ცნობილი ქართველი ფალავნის ჯემალ ბაკურიძის ხელმძღვანელობით. 1981-1989 წლებში ოთარი იყო აჭარის უცვლელი ჩემპიონი, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის კი საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი, როსტომ აბაშიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებული, სსრკ-ის პირველობის მეორე პრიზიორი, მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. მის დაოსტატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ბათუმში ანზორ გოგიაშვილმა და გელა ჯანელიძემ, თბილისში — თამაზ ტუხაშვილმა და თემურ ყაზარაშვილმა.

ოთარი რესპუბლიკური ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის სამაგალითო მოსწავლე იყო, გამოირჩეოდა ხალასი ბუნებით, ერთგულებით, მეგობრებისადმი სიყვარულით, იუმორის გრძნობით. აი, ასეთი ახალგაზრდა კაცის სახელი იქცა მოგონებად. უბედურება დაატყდა ოჯახს, მშობლებს — ავთანდილს და ვარდოს, სამ ძმას.

მოჭიდავეთა ძმური ოჯახის სახელით თანაგრძნობას ვუცხადებთ ოთარ ბაკურიძის ოჯახის წევრებს, ახლობლებს, ბიძაშვილს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, მსოფლიო ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, აჭარის სპეციალური დანიშნულების რაზმის მეთაურს ჯემალ ბაკურიძეს.

ჯემალ ტარიელაძე, ზაზა ჯიბლაძე, ნუკრი ჩანჩიბაძე, მერაბ არძენიძე, დავით გობეჯიშვილი, გურამ გელეხაური, მუხრან ვახტანგაძე.

სრულიად საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდის" სახელით, თავმჯდომარე — **ვლადიმერ კანკავა.**

რესპუბლიკური ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის კურსდამთავრებულების სახელით — **ზვიად შევარდნაძე**

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო და მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" თანაგრძნობს ამავე საზოგადოების აქტიურ წევრს თენგიზ ქავთარაძეს დედის გარდაცვალების გამო.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



6 აგვისტო, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ასპარეზი (21.25), ***II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (20.05), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***HTB პლიუს ფუთბალ.*** ჩემპიონთა ლიგა. მე-2 რაუნდის საპასუხო მატჩები (13.20` 15.20, 17.15), შოტლანდიის ჩემპიონატი (19.15). „ჩემპიონთა ლიგის არქივი" (98-99 წ.წ.) მეოთხედფინალი „ინტერი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" (23.25), ***HTB პლიუს სპორტ.*** ჭადრაკი. მსოფლიოს ჩემპიონატი (11.55, 21.30). ***ESPN.*** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (6.00, 12.00), ***EUROSPORT.*** „მსოფლიოს ფეხბურთის ლეგენდები" (16.00), საწყლოსნო თხილამურები. მსოფლიოს თასი (3.00).

7 აგვისტო, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. კავკასია. „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***HTB პლიუს ფუთბალ.*** შოტლანდიის ჩემპიონატი (13.55, 22.10). ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (18.35, 23.55), ***HTB პლიუს სპორტ.*** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17.55). ***ESPN.*** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (6.00), ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (18.00, 20.00). ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (2.00). ***EUROSPORT.*** ველოსიპედი. მსოფლიო თასი (18.00).

8 აგვისტო, კვირა

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (19.40), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00). ***HTB პლიუს ფუთბალ.*** კონფედერაციის თასი. ფინალი (15.00, 19.15). ლათინური ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მატჩების მიმოხილვა (16.50), შოტლანდიის ჩემპიონატი (17.15), კონფედერაციის თასის გათამაშების შედეგები (19.15), ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი — მანჩესტერ იუნაიტედი (19.55), „ჩემპიონთა ლიგის არქივი". 1998-99 წწ. სეზონი. „დინამო" (კიევი) — „რეალი" (მადრიდი) (22.35). ***HTB პლიუს სპორტ.*** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები (13.55, 17.55), ***ESPN.*** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. (5.00). ფეხბურთი: ინგლისის პრემიერლიგა (11.00, 11.30, 13.30). ევროპის ქვეყნების ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა (18.00), „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ევერტონი" 1998-99 წ.წ. (19.00). ჰოლანდიის სუპერთასზე: „ფეიენოორდი" — „აიაქსი" (1.00).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. ლიტბარსკი, 8. ლიტმანენი, 12. ნეტო, 13. სამორანო, 16. იტალია, 18. ინტერი, 20. სუბისარეტა, 22. ჰესი, 24. ოსერი, 26. სანტოსი, 27. ალიანსა, 32. გარინჩა, 34. ბლოხინი, 35. დესაი, 36. დანია, 37. ალეინიკოვი, 38. ადმირა, 41. გრიქსი, 48. ოლივეირა, 49. ინსი, 50. ავსტრალია, 51. სამარანჩი. **შვეულად:** 1. ატალანტა, 2. ნემსაძე, 3. ლატეკი, 4. რიეერა, 5. კლოსი, 6. ჭენოა, 7. ოტერო, 9. იებოა, 10. მენოტი, 11. იანინი, 14. მეტიუზი, 15. ამერიკა, 17-28. ლოპესი, 19-29. ტოსტაო, 20. სანტილიანა, 21. ასპარუხოვი, 23. ებრალიძე, 25. რავანელი, 30. აგუაში, 31. კიგანი, 33. არბიტრი, 34. ბესკოვი, 38. ალანი, 39. მიჰელსი, 40. აცტეკა, 41. გონელა, 42. ვალდანო, 43. ინდაგი, 44. კონტი, 45. ივანი, 46. ჩელსი, 47. ცაავა.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მa4!

1. ...მფa4 2. ლb3X. 1. ...მფc6 2. ლd5X.
1. ...მფb4 2. ლb3X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ელეს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმინიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე